საგარეჯო

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №3(41) 2013 წ. 1-15 თებერვალი ფასი 50 თეთრი

გიორგი ლოლაძე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი:

„მალე გამოიკვეთება პრიორიტეტული საკითხები“

2 ნოემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატი <u>გიორგი ლოლაძე</u> საინტერესო სამოქმედო გეგმითა და სტრატეგიით წარსდგა, რის გაცნობის შემდეგ დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას. ახალი გამგებლის სამოქმედო გეგმას და სტრატეგიას ინტერესით გაეცნო ჩვენი გაზეთის მკითხველიც („გარეჯის მაცნე“ №21, 2012წ).

არჩევის შემდეგ სულ სამიოდე თვე გავიდა. ამ პერიოდში გიორგი ლოლაძე უფრო ახლოს გაეცნო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პრობლემებს. დღეს ჩვენი ინტერვიუც იმ საკითხების შეხებაა, რომელიც უპირველეს ყურადღებას და მოგვარებას მოითხოვს.

– ბატონო გიორგი, წინასაარჩევნო პერიოდში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან ქ-ნ თინათინ ხიდაშელთან და კოალიცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საგარეჯოს საორგანიზაციო ჯგუფთან ერთად აქტიურად და მიზანმიმართულად გიწევდათ მუნიციპალიტეტის თითოეულ მოსახლემდე მისვლა, იმ პრობლემების შესწავლა, რაც მოსახლეობისათვის უკვე მტკივნეულ საკითხებად იყო ქცეული თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე. როცა გამგებლის პოზიციიდან უყურებთ, მთელი სიმწვავით უკვე დგება არა მარტო ერთი, კონკრეტული სოფლის პრობლემა, არამედ აქ უკვე მუდავნდება და უფრო ფართო მასშტაბებს იძენს პრობლემები. უპირველესად ასეთი რა პრობლემა წამოვიდა წინ?

– დამეთანხმებით – სოციალური პრობლემა, რომელიც მთელი რესპუბლიკის მასშტაბებს მოიცავს. ხალხი გაჭირვებულია. გაჭირვებულია უმუშევრობის მიზეზით. სწორედ უმუშევრობა უნდა დავძლიოთ.

– კონკრეტულად, რა გზით შეიძლება მოხდეს უმუშევრობის დაძლევა?

– ძალიან მალე მთავრობის მიერ ამოქმედდება სოფლის მეურნეობის დასახმარებელი პროგრამები. ეს იქნება ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის. ასევე, ამოქმედდება „სოფლის განვითარების მხარდაჭერის“ პროგრამა, რომელიც სოფლებში მთელი რიგი პრობლემების მოგვარებას შეგვაძლებინებს. ამ პროგრამებში ჩაერთვებიან უმუშევრები, დაუსაქმებელი, მაგრამ კვალიფიციური ადამიანები. მომავალში ჩვენს მუნიციპალიტეტში უნდა აშენდეს და ამოქმედდეს სასაწყობე და საშრობი ნაგებობები ხორბლისა და სიმინდისათვის, ასევე, მეცხოველეობის განვითარებისათვის აუცილებელია პირუტყვის საკვების გადასამზადებელი, ე.წ. კომბინირებული საკვების დამამზადებელი საწარმოს აშენება და ამოქმედება. ასევე, სამომავლოდ არის გათვალისწინებული საკონსერვო – ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოს აშენება-ამოქმედება.

– რას იტყვით იმ საერთო პრობლემაზე მუნიციპალიტეტში, რაც სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებაშია შექმნილი?

– თითქმის ყველა სოფელში წყლის მილები კოროზირებულია, ან ახლად გაკეთებული სისტემა უხარისხოდაა შესრულებული. ასე, რომ ვფიქრობთ, მთლიანად შეიცვალოს სისტემა, რადგან ათეული წლების წინ ჩაწყობილი, კოროზირებული მილები ყოველწლიურად შეგვახსენებს თავს... რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხს, მოგეხსენებათ, რომ აქ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კახეთის რეგიონალური ფილიალის საგარეჯოს სერვის ცენტრს აქვს აღებული პასუხისმგებლობა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლიდან აღნიშნული სერვის-ცენტრი ფიქრობს მთლიანად შეცვალოს სასმელი წყლით საგარეჯოს მომარაგების ძველი სისტემა ახლით, რაც რამდენიმე მილიონი ლარი დაჯდება, მაგრამ სამაგიეროდ, მთლიანად, ერთ სისტემაში მოექცევა წყალმომარაგებაც და პარალელურად მოხდება გამრიცხველიანებაც.

ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის მარტო სასმელი წყალი არ არის პრობლემა, არის მთელი რიგი სოფლები, სადაც ქუჩები, სოფლებამდე მისასვლელი გზები ათეული წლების მოუგვარებელი პრობლემებია. სწორედ აქეთკენ არის მიმართული ჩვენი მთავრობის ყურადღება. ერთი ხელის დაკვრით საქმე ვერ გაკეთდება. მოსახლეობამ კი შეიძლება პრეტენზიები ორი წლის შემდეგ გამოხატოს და გამოთქვას, თუ არაფერი გაკეთდება ქვეყანაში.

– სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ერთი ნაწილი უკმაყოფილოა – დახმარების მიმღებთა სიაში არ ვწერივართო...

– საერთოდ, როცა საქმე კეთდება, იქ ყოველთვის რაღაც ხარვეზიც იჩენს თავს. როცა ჩვენი კოორდინატორები კარდაკარ დადიოდნენ და ისინი დღესაც დადიან, შეიძლება ის კაცი არ დახვდათ სახლში. ბევრმა ისიც კი გააკეთა, რომ არ ჩააწერინა არც ფართობი და არც ზარალი – ეგონათ დახმარება არ გაიცემოდა და სამაგიეროდ, მიწის გადასახადს გადაახდევინებდნენ. ზოგს გაფორმებულიც არ აქვს ოფიციალურად თავისი მიწის ნაკვეთი უსახსრობის გამო. არ დარჩება არც ერთი სტიქიისაგან დაზარალებული ოჯახი, ვინც დახმარებას არ მიიღებს – ასეთია ჩვენი ქვეყნის პრემიერის გადაწყვეტილება, რაც ხორციელდება კიდეც არა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში...

– ამას წინათ, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ქალბატონი თინათინ ხიდაშელი პარლამენტში ერთობ საინტერესო ინიციატივით გამოვიდა – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გაუქმდეს მშობლთა გადასახადი, რომელიც თვეში 10 ლარით იყო განსაზღვრული. თქვენ თუ დაუჭერთ მხარს ამ ინიციატივას?

– დიახ, სიამოვნებით. ის, რაც ერთ ბავშვზე საბავშვო ბაგა-ბაღებსა და საბავშო ბაღებში იხარჯება ყოველთვიურად, არც ერთი რაიონისათვის არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას, რომ ის ერთი ბავშვიც ვერ დააფინანსოს 10 ლარით. ჩვენ ამის საშუალება გვაქვს. ასეთ დაწესებულებებში სულ 900-მდე ბავშვია ჩვენთან...

– რას იტყვით აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქართული სოფლების შესახებ, სადაც არც საბავშვო ბაღები ფუნქციონირებს და არც სპორტული სექციებია?

– ამას ჩვენ მნიშვნელოვან ყურადღებას დავუთმობთ. როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ჩვენს მუნიციპალიტეტში სასაწყობე და საშრობი საწარმოების, პირუტყვის კომბინირებული საკვების გადასამზადებელი საწარმოს და საკონსერვო ქარხნის აშენება-ამოქმედების დღესდღეობით დიდი სურვილი და ინტერესია. ასევეა, თქვენს მიერ დასმულ შეკითხვაში ნახსენები საბავშვო ბაღები და სპორტული სექციები. უახლოეს ხანში ყველაფერი დაიხვეწება და გამოვთქვამთ დრმა რწმენას, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და „სოფლის განვითარების მხარდამჭერი პროგრამები“ სწორედ ამ პრობლემების მოგვარებისა და ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელების შანსს მოგვცემს. 11 თებერვლიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის მოსახლეობას ვხვდებით, სადაც ისინი ასახელებენ პრიორიტეტულ საკითხებს. ჩვენ შემდეგ განვიხილავთ, შევაჯამებთ შედეგებს და იმისდა მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას, – რომელ სოფელში რა საკითხია პირველ ნომრად პრიორიტეტული და გადავწყვეტავთ...

– წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა
თინა ილაური

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

5 თებერვალი, 2013 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, გამგებლის მოადგილეები: ბესიკ მარტიაშვილი, ცისმარ თედიაშვილი და ვეფხია ჩერქეზიშვილი.

თათბირი მიჰყავდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი ლოლაძეს**. როგორც მან აღნიშნა, 11 თებერვლიდან დაიწყება მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში მოსახლეობასთან შეხვედრა, ჩატარდება კრებები, რომელზედაც მოსახლეობა დაასახელებს იმ კონკრეტულ პრიორიტეტებს, რომელთა მოგვარებაც „სოფლის განვითარების მხარდამჭერის“ პროგრამით განხორციელდება. მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელი პირების შეხვედრები სოფლების მოსახლეობასთან დაიწყება მთის ზონის სოფლებიდან და დამთავრდება 18 თებერვალს მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთით მდებარე სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრით.

თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ცისმარ თედიაშვილმა ვრცელი ზეპირი ინფორმაცია გააკეთა სტიქიით დაზარალებული ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სიების საბოლოოდ დაზუსტებასა და დახმარებების გაცემის შესახებ.

თათბირზე ასევე მოისმინეს სოფლის რწმუნებულების ინფორმაციები ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

12 თებერვალი, 2013 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს უძღვებოდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ცისმარ თედიაშვილი**. როგორც მან აღნიშნა, ფონდ „ქართუ ჯგუფის“ მიერ კახეთის მხარის სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობაზე დახმარების სახით გასაცემია 130 მილიონი ლარი. ასე, რომ თუ ვინმე, რაიმე მიზეზით გამორჩა ზარალის დამთვლელ კომისიას ან აღწერისას დასაზუსტებელი იყო რაიმე ნიუანსი, ეს ყველაფერი ამ კვირის ბოლომდე უნდა დაზუსტდეს.

(ვრცელ ინტერვიუს ამ საკითხთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ცისმარ თედიაშვილთან ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ).

„ქართული ოცნების“ კონფერენცია

30 იანვარს პარტია „ქართული ოცნების“ კონფერენციაზე, რომელსაც 71 დეპუტატი ესწრებოდა, პარტია „ქართული ოცნების“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ორგანიზაცია დაფუძნდა. პარტიის თავმჯდომარედ ვანიკო ქვრივიშვილი აირჩიეს. არჩეულია ბიუროს წევრებიც: ვანიკო ქვრივიშვილი, შალვა კრიხელი, ემზარ გორგილაძე, ელდარ მეფარიძე, ვანიკო ქარუმიძე.

კონფერენციის მონაწილეებისგან შეირჩა 8 დელეგატი, რომლებიც 16 თებერვალს მონაწილეობას მიიღებენ პარტია „ქართული ოცნების“ რესპუბლიკურ ყრილობის მუშაობაში. ესენი არიან: ვანიკო ქვრივიშვილი, შალვა კრიხელი, ემზარ გორგილაძე, ელდარ მეფარიძე, ვანიკო ქარუმიძე, მიხეილ ქვლივიძე, ვახტანგ ლაფაჩიშვილი, გოგიტა ტიგინაშვილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2013 წლის საგაზაფხულო გაწვევის ორგანიზებულად ჩატარებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლოლაძის ბრძანებით (№175) შეიქმნა წვევამდელთა 2013 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ლოლაძე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თავმჯდომარის მოადგილე

კობა ცხვარიაშვილი – სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი;

კომისიის მდივანი

ნატო ბარიხაშვილი – სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

კომისიის წევრები:

მანანა ცუცქირიძე – საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ნაზი არჩუაძე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენელი;

გოგიტა დიღმელაშვილი – კახეთის კრიმინალური პოლიციის სამხარეო სამმართველოს საგარეჯოს რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

ლევან ქარსაულიძე – სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიგანყოფილების წარმომადგენელი.

დანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი

ესმა ტიგინაშვილი

დაიბადა 1966 წელს ქ.საგარეჯოში. 1984 წელს დაამთავრა ქ.საგარეჯოს №3 საშუალო სკოლა. 1987 წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ეკონომისტის კვალიფიკაციით. სწავლის პარალელურად მუშაობდა თბილისის ზონალურ საპროექტო-ექსპერიმენტულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (“ზნიიეპი”) ტექნიკოსად, 1992 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ქ.საგარეჯოში და მუშაობა დაიწყო სამმართველო “საგარეჯოგაზში” კადრების ინსპექტორად. 1994 წლიდან იყო შრომის ნორმირების ინჟინრად, ხოლო ერთი წლის შემდეგ ბუღალტრად, სადაც იმუშავა 1998 წლამდე. შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №11 შრომა-გასწორების კოლონიაში ბუღალტრად. ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს ამავე დაწესებულებაში მთავარ ბუღალტრად. 2006 წლიდან სამმართველო “საგარეჯოგაზი” გარდაიქმნა სს “საგარეჯოგაზად”, განაახლა საქმიანობა და დაბრუნდა ბუღალტრის თანამდებობაზე, 2012 წლის 1 სექტემბრიდან, შპს “სოკარ ჯორჯია გაზი-კახეთის” ფინანსური განყოფილების ინიციატივით გადაიყვანეს შპს “სოკარ ჯორჯია გაზი-კახეთის” ბუღალტრის თანამდებობაზე სადაც იმუშავა ექვსი თვე. 2012 წლის 1 მარტიდან დატოვა აღნიშნული სამსახური საკუთარი განცხადების საფუძველზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსად დაინიშნა 2013 წლის 1 თებერვლიდან. დასაქორწინებელია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი

კობა ცხვარიაშვილი

დაიბადა 1973 წელს, ქ. რუსთავში. 1990 წელს დაამთავრა პატარძეულის საშუალო სკოლა. შემდგომ წლებში ეწეოდა შრომით საქმიანობას და სწავლობდა დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიას“ კოლეჯში.

წლების განმავლობაში ეწეოდა ბიზნესსა და მისდევდა სოფლის მეურნეობას.

2010 წელს პარტია „ეროვნული საბჭოდან“ იღებდა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და იყარა კენჭი სოფელ პატარძეულიდან. ძლიერი კონკურენციის შემდეგ მან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ადგილი მოიპოვა.

მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

მიხეილ კერატიშვილი

დაიბადა 1973 წელს. 1990 წელს დაამთავრა საგარეჯოს მეოთხე საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ზოოსაინჟინრო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა ზოოინჟინრად. შემდეგ კი, 1988 წლიდან მუშაობდა გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსში.

2002 წლიდან თბილისში, აეროპორტის მშენებლობის გამწვანების უბანზეა. 2008-2009 წლებში – თბილისის ქიმიურ სამთო ლაბორატორიაშია გამწვანების უბანზე. ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

2012 წლის გაზაფხულიდან არის კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საგარეჯოს საორგანიზაციო ჯგუფის წევრი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსად დაინიშნა 2013 წლის 18 იანვრიდან.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი თემი გომბორი

ისტორია

გომბორი მდებარეობს ზღვის დონიდან 1160 მეტრზე და საგარეჯოდან 55 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელს ორი მდინარე ჩამოუდის – რუსიანის ხევი და ვერონას ხევი, რომლებიც ერთმანეთს უერთდებიან და ქმნიან მდინარე კილმახს.

როგორც პროფესორი მ. ნოდია წერს: „გომბორში საუკეთესოდ არის შეზავებული მთის სუფთა, გრილი ჰავა და მზის უხვი სხივადობა, გომბორში თავისუფლად და ეფექტურად შეიძლება დაისვენონ და იმკურნალონ: განსაკუთრებით ზაფხულობით – მალარიით, მეორადი სისხლნაკლულობით, ქრონიკული ბრონქიტით, ლიმფური ჯირკვლების ანთებითა და ნევროზის იოლი ფორმებით დაავადებულებმა“.

გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი თავის წიგნში „საქართველოს გული“ წერდა: „სამგორის ტრიალ მინდვრებს შორის გზა გომბორისაკენ მიდის, ეს ზურმუხტის ქვეყანა თვით კახეთამდე გრძელდება. გომბორი საქართველოს მრავალ სამოთხეთა შორის პირველია“.

გომბორი და მისი მიდამოები ძველთაგანვე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რაზედაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მდიდარი არქეოლოგიური და კულტურული ძეგლები. აქ გადიოდა მცხეთიდან და თბილისიდან კახეთში მიმავალი გზა, ამიტომ ჩვენი წინაპრები გომბორს ყოველთვის მიიჩნევდნენ როგორც სამხედრო, ეკონომიკური თვალსაზრისით სტრატეგიულ პუნქტად.

თბილისიდან კახეთში მიმავალი მგზავრი შეამჩნევს ვერონის ციხის ნანგრევებს, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენია სოფელ გომბორის გადაღმა „სამთერიოს“ მახლობლად მაღალ, ყოველი მხრიდან მიუდგომელ ფრიალო კლდეზე.

ცნობილი არქეოლოგის მურავიოვ-კარსკის ცნობით, ციხე აშენებული ყოფილა ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში.

გარდა ვერონის ციხისა, გომბორში შემორჩენილია კალმახის, ანუ კილმახის ციხის ნანგრევებიც. ამ ორ ციხეს დიდი წინააღმდეგობა გაუწევია არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გომბორი როგორც სახედრო-თავდაცვითი თვალსაზრისით სტრატეგიული პუნქტი, ყოველთვის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში იყო. აქ მოსახლეობაც ხალხმრავალი იყო, მაგრამ XVIII საუკუნის 50-70-იან წლებში მოთარეშე ლეკთა სისტემატური შემოსევების შედეგად მოსახლეობა ან გაწყდა, ან ტყვედ იქნა წაყვანილი, ხოლო ცოცხლად გადარჩენილებმა უფრო უსაფრთხო ადგილებს შეაფარეს თავი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების მომენტისათვის გომბორის მხარე მთლიანად გაუკაცრიელებული იყო. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ გომბორში დაბანაკდა რუსის ჯარის ერთი ასეული, რომელიც იცავდა თბილისი-თელავის გადასასვლელ გზას. ჯარის ნაწილებს შემდეგ რუსი მოსახლეობაც მოჰყვა და გომბორი გასული საუკუნიდან თითქმის რუსულ დასახლებად იქცა.

გომბორმა დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ისტორიაში. საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელმა ნინომ სალომე უჯარმელთან ერთად მოიარა კაწარეთ-გომბორის მიდამოები, იმდროს სუჯეთად წოდებული მხარე და მოსახლეობა გააქრისტიანა.

სწორედ აქ, გომბორის ზღაპრულ სანახებში დადეს ჰანიბალის ფიცი ლაშა-გიორგიმ და ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნენმა ორი უდიდესი ქრისტიანული ქვეყნის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების განმტკიცების შესახებ. ამ კუთხის უდიდესმა სახელმწიფო მოღვაწემ დიდმა ვეზირმა ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელმა უჯარმის კვირაცხოველისა და კილმახის ციხის დიდ დარბაზში წაიკითხა საეკლესიო მამულების „შამოწირვის“ აქტი, რითაც ლახვარი ჩასცა სიხარბით გაუმაძღარ მაშინდელ სამღვდელოებას.

გომბორის მიდამოებში არაერთხელ გაუვლ-გამოუვლია ერეკლე მეორეს, ხოლო იმ ადგილას, სადაც მეფე და მისი ამალა ხშირად სადილობდა, დღესაც „სასადილო“ ჰქვია. აქ ცხოვრობდნენ ქართველი, რუსი, აზერბაიჯანელი, ლარიჯი, სომეხი ეროვნების ადამიანები.

გომბორში საკოლმეურნეო ცხოვრება 1933 წლიდან დაიწყო, მის ბაზაზე კი 1975 წელს ჩამოყალიბდა მძლავრი ტექნიკით შეიარაღებული მსხვილი, სპეციალიზებული მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა.

გომბორის სასოფლო საბჭოში 1981 წლის მონაცემებით ცხოვრობა 502 კომლი 1486 სული მოსახლეობით, აქედან გომბორში ცხოვრობდა 354 კომლი 1027 სული.

გომბორის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შემავალი სოფლებიდან სოფელ ვაშლოვანში ცხოვრობდა 13 კომლი – 28 სული, ვერონაში 43 კომლი – 127 სული, ასკილაურში – 50 კომლი – 118 სული, რუსიანში – 42 კომლი – 103 სული. იმ პერიოდში გომბორში 117 კომლი აზერბაიჯანელი იყო, 69 კომლი – რუსი და 168 კომლი ქართველი.

მეურნეობის მთლიანი მიწის ფონდი შეადგენდა 6845 ჰექტარს. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგული 3335 ჰა იყო. სახნავ-სათესი – 578, მრავალწლიან ნარგავებს 177 ჰა, სათიბებს 486 ჰა და საძოვრებს 2094 ჰა ეკავა. 2468 ჰა ტყესა და ბუჩქნარს ეჭირა, საკარმიდამო მიწის ფონდი 200 ჰექტარი იყო. 527 ჰექტარი ხევებისა და გზების კუთვნილება. მეურნეობის წამყვანი დარგი კი იყო მეცხოველეობა და მეხილეობა-მებოსტნეობა. აქ 1259 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 1265 სული ღორი ჰყავდა მეურნეობას. აქ ფუნქციონირებდა ღორის სასუქი მოედანი 300 სულზე, ფერმა 80 სადღლებელ ღორზე ასკილაურში, იკვლივ გორანაში მეღორეობის ფერმა 300 სულზე. მეურნეობას ყოველწლიურად 100-150 ტონა კომბოსტო მოჰყავდა.

დღევანდელობა

გომბორის თემის რწმუნებულია **გიორგი ჯინჭარაული**. დაიბადა 1974 წელს სოფელ ვერონაში. 1992 წელს დაამთავრა გომბორის საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგ 1997 წლიდან იმსახურა საქართველოს შეარაღებულ ძალებში.

სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ იგი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და თემის რწმუნებულად დანიშვნამდე ეწეოდა კერძო საქმიანობას.

გიორგის ჰყავს მშობლები, ორი ძმა, დასაქორწინებელია.

დღეს გიორგი ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან შეეცდება დაგანახოთ თავისი მშობლიური თემი დღევანდელი ცხოვრებითა და მოსაგვარებელი პრობლემებით.

– გიორგი, გომბორის თემში რამდენიმე სოფელი შედის...

– დიახ, გომბორი, რუსიანი, ვერონა, ვაშლიანი, ასკილაური.

– კომლთა რაოდენობა...

– თემში სულ 644 კომლია, აქედან სოფელთან კავშირგაწყვეტილია 189, ფაქტობრივად 455 კომლია ძირითადი.

– მოსახლეობა...

– 1290 კაცი.

– სოფლის მთლიანი ტერიტორია –

– 2612 ჰექტარი.

მათ შორის სათიბია 400 ჰა, სახნავი – 412ჰა, საძოვარი – 1800ჰა.

– თემს აქვს საჯარო სკოლა...

– დიახ. გომბორის საჯარო სკოლა (დირექტორი ზაზა ხიზანიშვილი), სადაც 19 პედაგოგი 121 მოსწავლის აღზრდას ემსახურება. სკოლას დიდი ისტორიული წარსული აქვს. ეს იყო სკოლა-ინტერნატი, რომელშიც მთის ზონის სხვადასხვა სოფლებიდან მშობლებს ჩამოჰყავდათ შვილები, ტოვებდნენ აქ. კვება, საერთო საცხოვრებელი, განათლება მაშინ უფასო იყო. სკოლაში 60-70-იან წლებში მოღვაწეობდა ისტორიის პედაგოგი ციცხვაია, რომელიც მეცნიერულ დონეზე აცნობდა აქაურ მოსწავლეებს საქართველოს, მშობლიური კუთხის ისტორიას. შექმნილი იყო სასკოლო მუზეუმიც. სკოლის შენობა ზაფხულში ე.წ. „პიონერთა ბანაკის“ ბინადართ მასპინძლობდა. სკოლის შენობა საერთოდ სამსართულიანია. მართალია შეცვლილია კარ-ფანჯარა, სახურავიც ნორმალურ მდგომარეობაშია, მაგრამ სასწავლო პროცესი მხოლოდ პირველ სართულზე მიმდინარეობს. ზედა სართულებს კაპიტალური რემონტი ესაჭიროება. სკოლაში გამოცდილი პედაგოგები არიან, მაგრამ მათ შორის მინდა პატივისცემით მოვიხსენიო მათემატიკის ღვაწლმოსილი მასწავლებელი – ელისო რკინაული.

– სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება...

– დიახ. ჩვენ გვაქვს საბავშვო ბაღი (მენეჯერი თამარ ნეკრესელაშვილი), სადაც 16 აღსაზრდელია. საბავშვო ბაღის შენობას კაპიტალური რემონტი ესაჭიროება, გასაკეთებელია სახურავიც. კარგი იქნება, თუ აქ, საბავშვო ბაღის ეზოში დაიდგმება სათამაშო დანადგარები.

– კულტურის ცენტრი...

– ამხელა ფუფუნება არ გვაქვს. გვაქვს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შენარჩუნებული, რომელიც საკრებულოს შენობაშია დაცული, მაგრამ... ბიბლიოთეკარის შტატი არ გვაქვს.

– სამედიცინო მომსახურება...

– სოფლის ამბულატორია თემის საკრებულოს შენობაშია განთავსებული. ჩვენთან ექიმი ნათელა სკვარცოვა წლებია ემსახურება ჩვენი თემის მოსახლეობას. ასევეა ექთანი თამარ ბაღიაურიც. ჩვენ გვაქვს სასწრაფო დახმარება 24-საათიანი მომსახურებით. ე.ი. ჩვენ შეგვიძლია ავადმყოფის საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრში გადაყვანა. მოსახლეობის მხრიდან დიდი მოთხოვნაა ექიმ-სტომატოლოგის დანიშვნაზე. როგორც გაირკვა, ჩვენ გვყავს საამისო კადრი, მაგრამ არ გვაქვს შესაბამისი სამედიცინო მოწყობილობა. ვნახოთ...

გომბორის თემის რწმუნებული
გიორგი ჯინჭარაული

– თქვენთან იყო რაღაც „გაუგებრობები“ თუ ეს ხელოვნურადაც იყო შექმნილი – „ქართუ ჯგუფის“ საქველმოქმედო ფონდის მიერ სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობაზე გაცემული დახმარებების თაობაზე...

– დიახ, ოქტომბრამდე ჩვენთან წინა მთავრობის მიერ მხოლოდ შვიდ კაცზე იყო გაცემული დახმარება. მოგეხსენებათ, რომ სტიქიამ მხოლოდ 7 კაცის საკარმიდამო ნაკვეთზე არ გადაიარა. ჩვენ გავაკეთეთ საინიციატივო ჯგუფი (ნოემბერდეკემბერში), სადაც ერთ-ერთი რიგითი წევრი მეც ვიყავი და დაზარალებულთა სიაში 180 კაცი შევიყვანეთ. აქ ჩვენ მექანიკურად გამოგვრჩა ის ოჯახები, რომლებიც კავშირგაწყვეტილები არიან სოფლებთან და მუდმივად არ ცხოვრობენ და მათი ურთიერთობა სოფელთან არის სეზონური. გავითვალისწინეთ მათ მიერ გამოთქმული პრეტენზიები, გადავამოწმეთ და 180 კაციან სიას დაემატა ახალი – 85 კაცი. ყველა ეს ადამიანები დახმარებებს მიიღებენ ეტაპობრივად.

მაგრამ, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ზაფხულის სტიქიის გამო ერთი ოჯახია მოწყვეტილი ცენტრალურ გზას (აქ მეწყერმა ბოგირი წაიღო), ერთი ოჯახის სახლიც მეწყერმა დააზიანა, ხევის პირას მცხოვრები ოჯახის ეზოს ნაკვეთი მეწყერმა მთლიანად მოწყვიტა. ასევე, სტიქიის გამო ერთ სახლს სახურავის გადახურვა სჭირდება. აღნიშნული საკითხების შესახებ უკვე დაიწყო მოგვარების გზები – მთლიანად არის შესწავლილი აღნიშნული დაზიანებები, შექმნილია სათანადო დოკუმენტაცია.

ესაუბრა
თინა ილაური

სურათზე: შეხვედრა გომბორის თემის მოსახლეობასთან

გომბორში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილესთან ბესიკ მარტიაშვილთან შეხვედრისას, მოსახლეობამ პრიორიტეტულ საკითხებად სასმელი წყლის სისტემისა და სოფლების შიდა გზების მოწესრიგება გამოყო.

ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲚᲓᲒᲐ

ᲛᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲝ ᲢᲐᲥᲡᲘ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ

ᲝᲠᲐᲗᲔᲣᲚ ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲔᲛᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲪᲘᲠᲔᲙᲝᲛᲚᲘᲐᲜ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ – ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ – ᲐᲫ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ – ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲒᲝᲚᲘ.

– 1 თებერვლიდან ამ მიმართულებით – საგარეჯო-უჯარმა-კოჭბანი-გომბორი სამარშრუტო რეისი დაინიშნა, რომელიც შეასრულებს მგზავრთა გადაყვანას კვირის შემდეგ დღეებში – ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს, დღეში ორჯერ, – მეუბნება კოჭბანის თემის რწმუნებული, ჩვენი მუნიციპალიტეტის მთის ზონის სოფლების მთავარი კურატორი **მალხაზ წიკლაური**. – აქაური სოფლების მოსახლეობას მუნიციპალიტეტის ცენტრთან დაკავშირებისათვის მართლაც რომ დიდი ბარიერები უნდა გადაელახა – ჩასულიყო თბილისში, თბილისიდან ისე თუ მოხვდებოდა საგარეჯოში, ან მუღანლოს ჩამოვლით, ახლა სოფელ სართიჭალაში უწევდა ტრანსპორტის ლოდინი. ზოგჯერ ორი-სამი ტრანსპორტის გამოცვლაც იყო საჭირო. ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლოლაძის უშუალო ჩარევით მოხერხდა, რომელსაც თხოვნით მივმართეთ საკითხის მოსაგვარებლად. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სამარშრუტო ტაქსი კვირაში სამი დღე, დღეში ორჯერ იმოძრავებს. დილის 8 საათზე გავა საგარეჯოდან, გაივლის სართიჭალას, მუღანლოს, შემდეგ ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებს: უჯარმას, კოჭბანს და გომბორს და იქიდან 9 საათსა და 30 წუთზე გამოვა. მეორე რეისი კი ასეთი იქნება – გასვლა საგარეჯოდან 15 საათზე და მთის სოფლებიდან უკვე 17 საათზე მოუწევს გამოსვლა. მძღოლი საგარეჯოელია – ტარიელ ძაბილაშვილი.

მინდა მადლობა გადავუხადო მთის სოფლების მოსახლეობის სახელით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი ლოლაძეს** ამ დიდი სიკეთისათვის.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

მადლობას ვუხდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი ლოლაძეს** და სოფელ ყანდაურის რწმუნებულს **გია შენგელიძეს** ჩემდამი გამოჩენილი გულისხმიერებისა და დახმარებისათვის. განსაცდელში მყოფი ადამიანისათვის ეს დიდი მხარდაჭერა და გვერდით დგომაა.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲬᲘᲥᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
სოფ. ყანდაურა

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲝᲠ�გᲐᲜᲝᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲕᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ – *მანავის რწმუნებული*

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲑᲠᲙᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ – *პატარა ჩაილურის რწმუნებული*

ᲕᲔᲤᲮᲘᲐ ᲓᲘᲓᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ – *უჯარმის რწმუნებული*

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲭᲣᲑᲐᲫᲔ – *კაკაბეთის რწმუნებული*

„ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებამ 2013 წლის "სოფლის მხარდაჭერის "პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობასთან საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრები დაიწო. შეხვედრები ითვალისწინებს "სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში თემებში არსებული პრიორიტეტული პრობლემების მოგვარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვას.

11 თებერვალს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში შეხვდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მთის ზონის სოფლების მოსახლეობას.

შეხვედრები ითვალისწინებდა 2013 წლის „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის საჭიროებების განსაზღვრისა და პრიორიტეტების დადგენის, სოფლებში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით განსაზღვრული პრიორიტეტებიდან განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვას.

ᲜᲘᲜᲝ ᲒᲕᲐᲒᲕᲐᲚᲘᲐ,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

ᲒᲝᲛᲑᲝᲠᲘ

ᲣᲯᲐᲠᲛᲐ

ᲙᲝᲭᲑᲐᲜᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ

დღესდღეობით გახშირებულია სამოქალაქო პროექტების განხორციელება და მათში ახალგაზრდა მოქალაქეების ჩართვა. ჩვენ ირგვლივ ყოველდღე ვხედავთ პლაკატებსა და სხვა საინფორმაციო ბანერებს, სადაც მოთხრობილია ამა თუ იმ სამოქალაქო აქტივობის შესახებ. ამ თემასთან დაკავშირებით მედიისა და პრესის საშუალებების აქტიურობაც მაქსიმალურია.

მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო საქმიანობა უმაღლეს დონეზეა. მაგრამ არის თუ არა რეალურად ასე? არის თუ არა ეს პროექტები არსებითი შედეგის მომტანი? მართლა ისახება მათში ილიასეული „მოქმედება და მხოლოდ მოქმედება", თუ მხოლოდ ფოტოებზე ასახული მოჩვენებითი საქმიანობაა?

ადამიანის არსებობის არსი მისი შექმნილი პროდუქტით განისაზღვრება.

„ფიქრი, მაგარი ფიქრი უნდა დაგვეკვებოს, რომ თავსა და გონებას ჭახაჭუხი გაჰქონდეს!.."
ვაჟა

ᲠᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ?

ვფიქრობ, თითოეულმა ჩვენგანმა ეს მოზარდობის ასაკიდანვე უნდა გაითვალისწინოს! ცხადია, ჩვენი ყველა ნაბიჯი წინასწარ გათვლილი ვერ იქნება, მაგრამ გარკვეულწილად უნდა შეგვეძლოს ქმედებების კონტროლი. ჩვენი გაკეთებული საქმის კეთილსარგებლიანობაზე ზრუნვა. სიკეთის კეთება არა მოჩვენებითად, არამედ ღირსეულად, რეალური შედეგით.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს ირგვლივ განხორციელებული სამოქალაქო აქტივობები მეტ-ნაკლებად მაინც ეხმარება ახალგაზრდა თაობას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რეალიზებაში.

დაბოლოს. ჩვენს საზოგადოებას ახალგაზრდა მოქალაქის მხრიდან ახლა ყველაზე მეტად სჭირდება საღი აზროვნება, ცოცხალი ქმედება, სასარგებლო და ღირებული საქმიანობა.

* * *

დილა თენდება ცრიატი სუსხის
და მეც ვერევი დილის ციაგში.
როგორ თენდება არავინ უწყის
ასეთი დილა იმ ცივ წყვდიადში.
ფიქრი მერევა შროშანისფერი,
დამჭკნარ ბალახებს იხუტებს ჩრდილი,
სხივები თრთიან, როგორც ნიმფები.
ლურჯ ცაზე კრთება ყვავილი შლილი.
აიშლებიან კვლავ აივნები,
ძილბურანს ებრძვის სიჩუმე გზებზე.
მთებში იქმნება სუსხის ჰიმნები
და იხატება ფერმკრთალ ხეებზე.
ცივა და ცივი, თეთრი ფიქრები
ეხიზნებიან შენს ლამაზ თვალებს...
შენ ისევ ძლიერ შორს გაფრინდები,
ბურუსი წავა, წაიყვანს ალებს.
მერე ინათებს, ბოლოსდაბოლოს.
სულშიც მზისფერი სხივი ენთება
და მაინც, მიკვირს, იმ ცივ წყვდიადში
ასე ლამაზად როგორ თენდება?!

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა XII კლასი

სპორტი

ჩვენი სპორტგაერთიანების სპორტულ დარბაზებში

წინ დიდი პერსპექტივებია

ბარე კახეთი მოჭიდავეთა ისეთი სამჭედლოა, სადაც იწვრთნებოდა, იჭედებოდა და თანაც „წუთისოფლის ქურაშიც“ თავისებური წესით ატარებდა სპორტსმენებს, საგარეჯოში როცა სპორტსმენებსო, ვამბობთ, ე.ი. მხოლოდ მოჭიდავეებს ვგულისხმობთ. მიზეზი გასაგები და მარტივია – საგარეჯოს რაიონმა ქართულ, რუსულ, საბჭოთა, ევროპულ და მსოფლიო სპორტს „ბეჭდაუდებელი ფალავნის“ტერმინი შემოუტანა. მარტო ეს კი არა, მეგობრობის, ვაჟკაცობის არაერთი მაგალითი უჩვენეს ჩვენმა მოჭიდავეებმა უცხოტომელებს. იქნებ არც გჭირდებათ შეგახსენოთ ლევან თედიაშვილის ამერიკაში დათვთან პაექრობის ჩვენთვის – ქართველებისათვის საამაყო და მსოფლიოსათვის განსაცვიფრებელი მოვლენა. დიახ, ეს იყო მოვლენა – უიშვიათესი, რომელსაც მხოლოდ ქართველი კაცი – „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილი თუ გააკეთებდა.

წლების განმავლობაში თავს ვიწონებდით კარგი ღვინოებით „მანავის მწვანითა“ და „ხაშმური საფერავით“. ან მაშინ განა რამდენ ჰექტარზე იყო გაშენებული ვაზის ეს ჯიშები?! „მანავის მწვანე“ მხოლოდ 40 ჰექტარზე იძლეოდა მართლაც „მანავის მწვანედ“ ცნობილ ღვინოს, ხაშმის საფერავი კი განა რა მოთხოვნას გაუძლებდა, ალბათ საგარეჯოსაც ვერ გასწვდებოდა... ახლა, როცა გონებით ვწვდები გასული საუკუნის ბოლო ათეულ წლებს, კიდევ უფრო მეტი სიმწარითა და მორალური „სუსხით“ დგება სპორტის, სპორტსმენის ღვაწლის დაუფასებლობა. ჩვენ ღვინოებით „ვაკვირვებდით“ მხოლოდ საბჭოეთს, თავი მოგვწონდა „ქინძმარაულითა“ და „ახაშენით“, მაგრამ სათანადოდ ვერ ვაფასებდით ჩვენს არსენას, ლევანის... სხვა ქვეყანას რომ მათნაირი სპორტსმენები ჰყოლოდათ, ალბათ ცას ხელს მიაბჯენდნენ, ყველაფერს გააკეთებდნენ – ოქროს ქანდაკებებს ჩამოასხამდნენ და ქალაქებს მათ სახელებს უწოდებდნენ...

XV ოლიმპიური თამაშების ფინალში 42 წლის არსენ მეკოკიშვილმა ორჯერ დააგდო ხალიჩაზე ქართული ცერულით მასზე 10 წლით უმცროსი, მსოფლიო ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი შვედი ბერტილ ატკინსონი... არსენ მეკოკიშვილი საბჭოთა კავშირის 18 გზის, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. სწორედ მისმა ჭიდაობამ შემოიტანა ტერმინი „ბეჭდაუდებელი ფალავანი“ სპორტში. ლევან თედიაშვილი?! – ცოცხალი ლეგენდა... მათ კვალს გაჰყვნენ და არც თუ ურიგოდ მთელი თაობები. სულ ახლახანს, ბოლო წლებში საგარეჯოს, გარეკახეთის სახელი შორს გაიტანეს ევროპის, მსოფლიოსა და საქართველოს ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის, დიდებს შორის საქართველოს ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში დავით ხუციშვილმა, ევროპის ჩემპიონმა ჭიდაობა სამბოში – უშანგი კუზანაშვილმა, მანამდე მსოფლიო პრიზიორმა და ევროპის ჩემპიონმა ძიუდოში გიორგი რევაზიშვილმა, ნუკრი გაგნიაშვილმა, მსოფლიო ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის სამბოში, ძიუდოისტმა ევროპის ჩემპიონმა ჭაბუკებში – კობა მჭედლიშვილმა, შემდეგ ზაურ მამარდაშვილმა, ირაკლი კუპატაძემ, ზაზა როსტომაშვილმა, ზურა ერბოწონაშვილმა, ნიკა მოველიძემ, სოლომონ თედიაშვილმა.

თუმცა, ეს მცირე ექსკურსია იმ დიდებული სპორტული მატიანისა, რომლის ფურცლებზეც საპატიო ადგილი უკავია ქაიხოსროშვილების, ელერდაშვილების, ქვლივიძეების, ქარსაულიძეების სპორტულ მიღწევებს.

დღეს სწორედ მათ ნაკვალევს მიჰყვებიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ დარბაზებში მოვარჯიშე მოზარდები, ახალგაზრდები, ჭაბუკები, ყოველდღიურად ხვეწენ თავიანთ საბრძოლო ტექნიკას, დიდ-დიდი, სერიოზული შეჯიბრებებისთვისაც ემზადებიან. წინ დიდი, საინტერესო საქმიანობა ელით. მალე გაზაფხულდება. გაზაფხულზე კი ყოველთვის აჯამებენ მათი ვარჯიშის შედეგებს.

15 იანვარს საგარეჯოს სპორტულ საზოგადოებას აიპ სპორტგაერთიანების ახალი ხელმძღვანელი, საგარეჯოელი გიორგი მაისურაძე წარუდგინეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **შშანგი კუზანაშვილმა,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გიორგი ლოლაძემ,** საქართველოს პარლამენტის წევრმა, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა **თინათინ ხიდაშელმა.**

გიორგი მაისურაძე საგარეჯოელია. ქართულ ტრადიციებზე და საგარეჯოელი მოჭიდავეების, სპორტული საზოგადოების თვალწინ ჩამოყალიბებული პიროვნება.

მასზე, როგორც ჭიდაობის პატივისმცემელსა და შემდგომში მხარდამჭერზე თავისებური ზეგავლენა იქონია დედის ძმის – დათო (დიტო) გზირიშვილის იმ დიდმა სიყვარულმა ჭიდაობის მიმართ, რაც მას, როგორც მწვრთნელს ჰქონდა. დათო სამბოს მისდევდა, საქართველოს ჩემპიონი იყო სამბოშიც და ქართულ ჭიდაობაშიც და მოზარდი თაობის აღმზრდელის პოსტზე მოძებნა თავისი ადგილი. გიორგი მისი მეცადინეობების ხშირი სტუმარი იყო. იმ პერიოდში, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში უდიდესი ყურადღების ცენტრში იყვნენ მოზარდი სპორტსმენები, მოჭიდავეები – ნებისმიერ საგარეჯოელს აინტერესებდა მათი პაექრობები და გიორგიც ნელ-ნელა ჩაითრია იმ ატმოსფერომ, სადაც წინა ხაზზე წამოწეული იყო ვაჟკაცობის, ადამიანობის, ქართველობის ყველაზე ლამაზი და საინტერესო მხარეები. მეშვიდე კლასიდან მან უკვე სერიოზული ვარჯიში დაიწყო მწვრთნელ რიონ ყორღანაშვილთან. პირველი მარცხიც ახსოვს და პირველი სიხარულიც. მისთვის სპორტული დარბაზი მხოლოდ სავარჯიშო ლეიბები და ილეთების სწავლის ადგილი არ იყო. აქ საოცარი სული ტრიალებდა – ქართული, თბილი, ვაჟკაცური, ადამიანური. არ შეიძლებოდა დარბაზიდან ნავარჯიშევი კაცი დაბოღმილი გამოსულიყო, ავი რამ ჩაედო გულში, ხელი ან ალკოჰოლისკენ წაცდენოდა, ან იარაღისკენ... საქართველოს ჩემპიონობა სამბოში და შემდეგ ქართულ ჭიდაობაში პრიზიორობაც იზეიმა ისეთ ასაკში, როცა კაცი უფრო მეტის გაკეთებას ისახავს მიზნად. ახსოვს, ქალაქ გორში სტალინის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც სამმა საგარეჯოელმა – ზაქრო კვერაშვილმა, გიორგი მაისურაძემ და გია ბეჟიაშვილმა თავიანთი ოსტატური მონაწილეობით გააკვირვა მაყურებელი.

შემდეგ კი იყო წლები, როცა სპორტი, ჭიდაობა უკვე მეცენატთა, ქველმოქმედთა კეთილი ნებითღა ითქვამდა სულს, როცა სახელმწიფო ვეღარ აფინანსებდა სპორტსმენთა მომზადებისა და პაექრობებში მონაწილეობის ხარჯებს. სწორედ რომ დროული აღმოჩნდა მაშინ მცირე ბიზნესში ჩაბმული გიორგი მაისურაძის მიერ გაღებული თანხები და უშანგი კუზანაშვილის, გიორგი რევაზიშვილის, დათო სვიმონიშვილის მოსამზადებელი პერიოდები თუ სატურნირო ხარჯები ხშირად სწორედ მას, გიორგი მაისურაძეს გაუდია. ეს თვისებაც ბიძის, უდროოდ გარდაცვლილი დათო გზირიშვილისგან ჰქონდა კარგად შეთვისებული – დიტო ხომ მთელ თავის ხელფასსა თუ ოჯახის ბიუჯეტს სწორედ თავისი აღსაზრდელების წვრთნასა და შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის გაიღებდა. გიორგი ყოველ დღე არა, მაგრამ სისტემატურად შედიოდა დარბაზებში და თვალყურს ადევნებდა პერსპექტიული მოჭიდავეების ყოველდღიურ სპორტულ ზრდას.

– ისინი დღესაც ჩემი ოჯახის წევრები, ჩემი შვილები არიან, – მეუბნება საუბარში გიორგი, – წარმოუდგენელია, ხედავდე პერსპექტივას, წინგადადგმულ ნაბიჯებს მომავალი თაობებისა და იქ გულმა სხვანაირად გიკარნახოს – ხელი უნდა შეაშველო ამ დროს მოზარდს, რადგან მასში ქართული სულის ნაპერწკალი კიაფობს, შემდეგ საქართველოს დიდებად რომ უნდა აკაშკაშდეს და, ეს პატარა ქვეყანა თავისი წარმატებებით მსოფლიოს გააცნოს. განა ასე არ იყო ლევანი?! როცა მის წარმომავლობას ეკითხებოდნენ საზღვარგარეთ, მარტო საგარეჯოს არ ასახელებდა, იქ უთითებდა, რომ სოფელ თაქლადან იყო. ამის ხაზგასმას იმიტომ აკეთებდა, რომ სოფელი უყვარდა, თავისი მშობლიური კუთხე და შემდეგ კი, თავის თაქლელ თანასოფლელებსა თუ უბნელებს სიამაყის და ბრძოლის, საჭიდაო ხალიჩაზე გამოსვლის სურვილს აღუძრავდა. რამდენი გაჰყვა მის კვალს?!

დღე არ არის, სპორტსმენების ყოველდღიურობას არ ვეცნობოდე, – აგრძელებს საუბარს გიორგი, – ახლა უფრო მეტი ფიქრი, მოქმედება, ახლებური აზროვნება, საქმისადმი გულიანი მიდგომა, სიახლეების შემოტანაზე ზრუნვა მიხდება. არის პოტენცია, ბირთვი, არის შესაძლებლობები იმისა, რომ გამოვავლინოთ სკოლებში, სოფლებში ის მოზარდები და ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ რაღაც, თუნდაც პატარა მონაცემები, შემდეგ კი მათთან მიზანმიმართული საქმიანობით აღვზარდოთ. ამას თამამად ვაცხადებ, რადგან გარეკახეთი იძლევა ამის შესაძლებლობებს. დღეს ჩვენს მუნიციპალიტეტში 10 სპორტული დარბაზია, ჩვენ 500 მოსწავლე გვყავს.

საგარეჯოში 3 სპორტული დარბაზია. დარბაზი, რომელშიც უფროსი მწვრთნელი კობა საგინაშვილია, კარგ მდგომარეობაშია. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ნორმალურად ივარჯიშონ. ამ დარბაზში სპორტსმენებთან გამოცდილი ვეტერანი მოჭიდავეები ბიჭიკო მარიდაშვილი, დათო ბუზარიაშვილი და ზაზა ლაფერიშვილი მუშაობენ. ისინი თავისუფალ ჭიდაობაში წვრთნიან მომავალ ფალავნებს, თუმცა ბატონ ბიჭიკოს სამბისტებიც ჰყავს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამავე სპორტულ დარბაზში ძიუდოში 8 გოგონას საკმაოდ სერიოზულად ავარჯიშებს მწვრთნელი **თამაზ მათიაშვილი.**

დარბაზში, სადაც უფროსი მწვრთნელი მრავალგზის ტურნირების გამარჯვებული ძიუდოისტი **მამუკა მათიაშვილია,** მასთან ერთად სამბოში მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში **ნუკრი გაგნიაშვილიც** ავარჯიშებს. მინდა აღვნიშნო, რომ ორივე მწვრთნელმა მოიარა ესპანეთის, ჰოლანდიის, ბელგიის სპორტდარბაზები, სპორტული გუნდები როგორც მოქმედმა მოჭიდავეებმა და მწვრთნელებმა, მაგრამ თავის ქვეყნის და საქმის სიყვარულმა ისევ საგარეჯოში დააბრუნა. ამავე დარბაზში მომავალ მოჭიდავეებს ძიუდოში ავარჯიშებენ **ლევან ბასილაშვილი** და **დევი რევაზიშვილი,** სამბოში – **კახა ყორღანაშვილი**. აღნიშნულ დარბაზში გათბობა არ არის საკმარისი, აუცილებლად გვჭირდება III სართულზე საჭირო ავეჯის შეტანაც და რატომ? სპორტული დარბაზის ამ შენობაში სრულიად შესაძლებელია სასტუმროს კეთილმოწყობა, კვების ბლოკის სრულყოფილი ამოქმედება. აქ სრულიად შესაძლებელია

ასევე წინა ათეული წლების ტრადიცია აღვადგინოთ – მოვახერხოთ და ჩვენი აღსაზრდელებისა და სპორტსმენებისათვის ე.წ ზბორები – შეკრებები გავაკეთოთ, სადაც ჩვენი აღსაზრდელი სპორტსმენი გარკვეული პერიოდი წინასწარ შემუშავებულ რეჟიმში გვეყოლება. ისიც იქნება შესაძლებელი – აქ სხვა რაიონებიდან, ქალაქებიდან, თუნდაც სხვა რესპუბლიკიდან მოვიწვიოთ სპორტსმენები და ერთობლივი ვარჯიშები გავაკეთოთ. მერწმუნეთ, რომ ეს ერთობ მომგებიანია სპორტსმენისათვის და არა ბიზნესისათვის, სადაც ინვესტიციას კარგად, გააზრებულად ჩადებ, იქ უკუმოგებაც, – სპორტსმენთა წარმატებებიც შედეგიანი იქნება. საერთოდ ამ საქმეში სპორტის შემდგომი განვითარებისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი თანადგომა და დახმარება რაიონის გამგებელმა და საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა აღგვითქვეს.

არასაუწყებო დაცვის შენობაში არსებულ სპორტულ დარბაზში, სადაც უფროსი მწვრთნელი **რამაზ ასაბაშვილია,** მწვრთნელი **დათო ბაბუნიძეც** საკმაოდ ნაყოფიერად ავარჯიშებს სპორტსმენებს. დარბაზი კეთილმოწყობილია, მაგრამ არ თბება. რაც შეეხება სოფლებს – ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს სოფელ ნინოწმინდაში სპორტული დარბაზი, რომელიც ძველი, 8-წლიანი სკოლის ყოფილ შენობაში იყო. არ გვაქვს გათბობა გიორგიწმინდის სპორტულ დარბაზში, სადაც მწვრთნელები **ბადრი ბასილაშვილი** და **გოდერძი მეკოკიშვილია**. ასევე გათბობა არ არის პატარძეულის სპორტულ დარბაზში. აქ **ტრისტან სუხაშვილი** და **ვაჟა კოტორაშვილია** მწვრთნელებად. არ ფუნქციონირებს სპორტდარბაზი სოფელ თოხლიაურში, რადგან აქ მწვრთნელი ჯერჯერობით არ გვყავს. პატარა ჩაილურის სპორტდარბაზი შესარემონტებელია. აქ **როლანდ აღვნიშვილი** და **თემურ როსტიაშვილი** არიან. მწვრთნელები. ხელის შევლებას საჭიროებს კაკაბეთში (მწვრთნელი **გია მასურაშვილი**), მზისგულში (მწვრთნელი **სოსო ჯიკაძე**) სპორტული დარბაზები. ჩემს მიერ ჩამოთვლილ სპორტულ დარბაზებში წვრთნებიმეცადინეობები მიმდინარეობს ყველა იმ სახეობაში, რაც, როგორც იტყვიან „ჩოხაში მიდის“, – ქართული ჭიდაობა, სამბო.

წლებია თვალყურს ვადევნებ და მთის ზონისა და აზერბაიჯანელებით დასახლებული ქართული სოფლები რატომღაც არ იღებენ მონაწილეობას ჭიდაობაში. რატომ? იქ არ არის სპორტული ბაზები. არ ჰყავთ მწვრთნელები. უახლოეს ხანში სპორტგაერთიანების თანამშრომლები შეეხვდებით ყველა სოფლის რწმუნებულს, სადაც არ არის წრეები, სექციები. იქაც უნდა გავაკეთოთ, ჩამოვაყალიბოთ, შევქმნათ. ვინ იცის, იქნებ ნაღდი სპორტსმენები იქ უფრო არიან. ამ საკითხის ირგვლივ ძალიან არის დაინტერესებული რაიონის ხელმძღვანელი და საქართველოს პარლამენტის წევრი. თავად ქალბატონმა თინათინ ხიდაშელმა გვითხრა – ამ საკითხს ყურადღებით მოვეპყროთ და ყველა მექანიზმი ავამუშავოთ ადგილებზე პრობლემის მოსაგვარებლად. მე ახლა მახსენდება აზერბაიჯანელებიდან ფრენბურთის როგორი ძლიერი გუნდი გამოდიოდა რაიონულ შეჯიბრებებზე 70-

დასასრული მე-5 გვერდზე



სპორტსმენები: მარცხნიდან მარჯვნივ: სოლომონ თედიაშვილი, ვანო მამისაშვილი, გიორგი კუპატაძე და ზაურ მამარდაშვილი

სპორტი

ჩვენი სპორტგაერთიანების სპორტულ დარბაზებში

წინ დიდი პერსპექტივებია

დასასრული

იანი წლების ბოლოს – მხოლოდ მათთან პაექრობის გვეშინოდა საგარეჯოს II საშუალო სკოლის ფრენბურთელთა დაუმარცხებელ გუნდს.

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ მუნიციპალიტეტში ჭადრაკის შემდგომ განვითარებას. ჩვენ თვითონაც ხომ ყოველდღე ვხედავთ ჩვენი მოჭადრაკეების გამარჯვებებს. ნანი უნაფქოშვილს სპორტგაერთიანებამ ხელფასი დაუნიშნა. ის ჩვენს პატარა მოჭადრაკეებს ამეცადინებს და თვითონაც ხომ ვარჯიშობს. ვფიქრობთ, ეს მისთვისაც წამახალისებელია და პატარა მოჭადრაკეებისათვის – ცოცხალი მეტოქე, მოწინააღმდეგე.

ფეხბურთიც ერთი პერიოდი უყურადღებოდ იყო ჩვენი მოზარდებისგან. წარმოუდგენელია ბიჭი, რომელიც ბურთს არ თამაშობდეს. ჩვენ სკოლებში შევალთ და ყველა დაინტერესებულ ბიჭს შევთავაზებთ ჩვენთან მოსვლას, საიდანაც შევარჩევთ საუკეთესო მოთამაშეებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია სოფელ ბადიაურში კარატეს სექციის გახსნამ, სადაც მწვრთნელი **ვანო გიგილოშვილია.**

გვაქვს კრივის სექცია, რომლის მუშაობაზეც თქვენი გაზეთის წინა ნომერში ვრცლად იყო საუბარი.

რაგბის ბრწყინვალე და საამაყო გუნდი გვყავს პატარძეულში „ვეფხვები“ (მწვრთნელი **ზვიად სუხიშვილი**). მათ უკვე ორი თამაში ჰქონდათ პირველ ლიგაში და საოცარი შედეგებით. გარდაბნის „მგლებთან“ 94:7; თბილისის „ტორნადო“ 54:17. მათი მაღალ ლიგაში გადაყვანის შანსი მათივე მონაცემებით გვაქვს, მაგრამ ეს გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული.

უფროსი მწვრთნელი რამაზ ასაბაშვილი და მწვრთნელი დათო ბაბუნიძე აღსაზრდელებთან ერთად

მოგეხსენებათ, რომ სპორტსმენები ყველაზე მეტ სოლიდარობას და ხელის წახმარებას უკეთებენ პერსპექტიულ სპორტსმენებს. ყოფილა შემთხვევა, ტურნირი ერთ პიროვნებას დაუფინანსებია. ახლაც, როცა ჩვენი სპორტსმენების მიღწევებს ეცნობიან ვეტერანი სპორტსმენები, სრულ მხარდაჭერას გვიცხადებენ. ასე, მაგალითად, მოგეხსენებათ, 1 და 3 თებერვალს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატი სამბოში. იქ ჩვენმა სამბისტებმა სოლომონ თედიაშვილმა (51კგ – ჭაბუკებში), I ადგილი დაიკავა, ზაურ მამარდაშვილმა (82კგ – ახალგაზრდებში) – მეორე ადგილი, ვანო მამისაშვილმა (65კგ – ჭაბუკებში) – III ადგილი, გიორგი კუპატაძემ (57კგ – ახალგაზრდებში) – III ადგილი დაიკავა. ამ წარმატებებისათვის ვეტერანმა მოჭიდავემ თამაზ გეგეშიძემ სოლომონ თედიაშვილსა და ვანო მამისაშვილს 100-100 ლარი დაუნიშნა ხელფასის სახით.

თამაზ გეგეშიძემ ამასწინათ მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილის სპორტსმენებს საჭიდაო დარბაზისათვის ლეიბები შეუძინა. ვეტერანმა სპორტსმენმა გია მარხვაშვილმა ტელევიზორი გვაჩუქა. მათ სრული თანადგომა გამოგვიცხადეს და ჩვენს სპორტსმენებს ფინანსურად გვერდში დგომას შეჰპირდნენ. მათთან ერთად თითქმის ყველა ვეტერანი საგარეჯოელი გვიცხადებს თანადგომას. მათ შორისაა მამუკა კურდღელაშვილიც – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, ამჟამად კახეთის მხარის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი. ჩვენს გვერდითაა ასევე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ძიუდოში გიორგი რევაზიშვილი, რომელიც საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებს ჭაბუკებში. ასევე, დათო სვიმონიშვილიც და სხვები. ამ დღეებში ჩვენი სპორტსმენები ბაკურიანში გადიან საქართველოს ნაკრებში მომზადებას. მათ შორის არიან: თამაზ კირაკოზაშვილი, კობა მჭედლიშვილი, სიმონ მამარდაშვილი, ოთარ კაციაშვილი. მათთან ერთად უნდა ყოფილიყო ირაკლი კუპატაძეც, მაგრამ 3 თებერვალს გამართულ ტურნირში საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. აღნიშნული ნაკრები, რომლის მწვრთნელია ირაკლი ცირეკიძე (ჭაბუკებში), დამხმარე მწვრთნელები: გიორგი რევაზიშვილი და ვაჟა ბალხამიშვილი 24-25 თებერვალს თბილისში ჩასატარებელ საქართველოს ძიუდოში პირველობისათვის ემზადება.

დადგა სეზონი, როცა სისტემატური ხასიათი ეძლევა ტურნირების, შეჯიბრებების გამართვას. ახლა ვნახავთ ვინ, რომელი მწვრთნელი, როგორ მუშაობს სპორტსმენებთან, აღსაზრდელებთან. სწორედ ამის მიხედვით მოხდება მათთვის ხელფასის დანიშვნაც და სხვა წამახალისებელი ღონისძიებების გატარებაც.

მწვრთნელმა თავისი შრომის შედეგი უნდა აჩვენოს საზოგადოებას და შესაბამისი ანაზღაურებაც აიღოს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის წევრს თინათინ ხიდაშელს, მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი ლოლაძეს, რომლებიც სერიოზულად არიან დაინტერესებული ჩვენი სპორტსმენების საქმიანობით, მათი მიღწევებით. არ გამართულა ჯერ არც ერთი სპორტული ღონისძიება, პირადად რომ არ დასწრებოდნენ. მათ მიზანს სწორედ სპორტისთვის მხარდაჭერა, საჭირო ბაზის შექმნა და მწვრთნელისა და სპორტსმენის სტიმულირება წარმოადგენს.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩვენს სპონსორს და მათ შორის დიდი მადლობა მინდა სპორტსმენების სახელით ვუთხრა ინდმეწარმე დათო დარბაისელს, რომელმაც უდიდესი დახმარება გაგვიწია და საგარეჯოს სტადიონი, წლების განმავლობაში უყურადღებოდ მიტოვებული და დანაგვიანებული, თავისი თანამშრომლების საშუალებით გაწმინდა და ტრანსპორტით გაიტანა. დღეს ჩვენს სპორტსმენებს ამ მხრივ მოწესრიგებული სტადიონი აქვთ, რაც დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი სპორტსმენების ფიზიკურ მომზადებას.

გულახდილი საუბარი

მწვრთნელი – თავისი საქმის პროფესიონალი სპორტსმენი – მიზანმიმართული, ნებისყოფის მქონე

სწორედ ამ სიტყვებით დაახასიათეს ერთმანეთი იმ ჩვენს პატარა შეხვედრაზე, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების დირექტორის კაბინეტში შედგა. მწვრთნელები – უფროსი მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი – საქართველოს ჩემპიონი სამბოში, ძიუდოში, ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი, თბილისის ტურნირების პრიზიორი. ნუკრი გაგნიაშვილი – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ევროპის პრიზიორი ძიუ-დოში, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი სამბოში.

სწორედ მათ თვალწინ იზრდებიან და სპორტსმენებად ყალიბდებიან ჩვენი გაზეთის რესპოდენტები: სოლომონ თედიაშვილი, გიორგი კუპატაძე, ვანო მამისაშვილი, ზაურ მამარდაშვილი. თავდაპირველად მორცხვობენ რესპოდენტები, ისე, როგორც მათი ასაკის ბიჭებმა იციან. შემდეგ კი იხსნებიან, რადგან საუბარი მათ მწვრთნელების დახასიათებაზე მიდის. როგორც ჩანს, მათ ხასიათსა და მომთხოვნელობაში ჯდება ორივე მწვრთნელი: მომთხოვნი, მკაცრი (საჭიროების შემთხვევაში), მეგობრული, კომუნიკაბელური, პედაგოგიური ტაქტის მქონე, ჭკვიანი, საქმის პროფესიონალი. ამასთან, საუბარში ისიც იკვეთება, რომ მათ ძალიან ეამაყებათ მათი მწვრთნელების გავლილი გზა – ვაჟკაცურად, წარმატებებით და ისიც, რომ მათ მოაირეს ბელგიის, ჰოლანდიის, ესპანეთის სპორტული კლუბები, როგორც მოქმედმა სპორტსმენებმა და როგორც მწვრთნელებმა და ყველგან წარმატებები ჰქონდათ, მაგრამ ვერ გაუძლეს სამშობლოს ნოსტალგიას, მიწის ყივილს და საგარეჯოში დაბრუნდნენ – მიუხედავად იმ მიზერული ხელფასისა, რაც მათ ევროპის კლუბებისგან განსხვავებით აქვთ... სწორედ აქედან იწყება მათი საუბარი ქართულ სულსა და საქართველოს სიყვარულზე, რომელიც ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს ყველაზე „დიდი დოზით“ სწორედ სპორტსმენებშია შემორჩენილი.

მწვრთნელების დახასიათებით კი მათი აღსაზრდელები მიზანმიმართული, დიდი ნებისყოფის მქონენი არიან, რის გარეშეც შეუძლებელია რაიმე წარმატებაზე საუბარი.

სოლომონი საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელია. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბიჭია, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს – ყურებზე – სპორტსმენია – საქართველოს ორგზის ვერცხლის პრიზიორი ძიუ-დოში, ერევნის საერთაშორისო ტურნირის II პრიზიორი (№10 სპორტსმენი 2012 წლის საგარეჯოს 10 საუკეთესო სპორტსმენიდან).

ზაურ მამარდაშვილი (№4) ევროპის ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში (ჭაბუკებში), საქართველოს ჩემპიონია, არის ერევნის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორი.

გიორგი კუპატაძე რვა წელია ვარჯიშობს ძიუ-დოში.

ვანო მამისაშვილი საგარეჯოს მეოთხე სკოლის მეთერთმეტეკლასელია. ევროპის ჩემპიონი (ჭაბუკებში).

სოლომონი, ვანო და ზაური დღეს მართლაც სერიოზულად ვარჯიშობენ – ემზადებიან რუმინეთში წასასვლელად საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად თებერვლის ბოლოსათვის, შემდეგ კი იქვე შეირჩევა აპრილში ევროპის პირველობაზე, რომელიც კუნძულ კვიპროსზე გაიმართება. გიორგი კი მხოლოდ იმიტომ ვერ მიდის ამ ტურნირზე, რომ ტრამვები აქვს და ნელ-ნელა შედის სპორტულ ფორმაში.



უფროსი მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი და მწვრთნელი ნუკრი გაგნიაშვილი სპორტსმენებთან

„ნინოობა“ ქართულმა ჭიდაობამაც დაამშვენა

ნინოწმინდაში, წმინდა მოციქულთა სწორის ნინოს სახელობის დღესასწაულ „ნინოობაზე“ ჩატარდა ქართული ჭიდაობა, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა სრულიად საქართველოდან. ამ ასპარეზობის ინიციატორები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ხელმძღვანელობა იყვნენ. ჭიდაობა ნინოწმინდის საჯარო სკოლის სპორტულ მოედანზე, სხვადასხვა წონით კატეგორიებში ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობის უფლება ყველა მსურველს ჰქონდა. ძირითადში კი ასპარეზზე აქაური და მეზობელი სოფლების: პატარძეულის , გიორგიწმინდის, მანავის, კაკაბეთის, ჩაილურის, საგარეჯოსა და სხვა დასახელებული პუნქტების მოჭიდავეები იღებდნენ მონაწილეობას. ასპარეზობას მუსიკალურად აფორმებდა დამკვრელების ცოცხალი ჯგუფი. დაწესებული იყო 4 სხვადასხვა პრიზი და მთავარი ჯილდო – ჭედილა, აბსოლუტურ ფალავნობაში გამარჯვებულისათვის. პაექრობაში პრიზების მფლობელი გახდნენ სხვადასხვა წონით კატეგორიებში მოჭიდავეები: როინ ყორღანაშვილი, გიორგი ზუკაკიშვილი, დათო ბაბაკიშვილი და დათო აზარიაშვილი. შეჯიბრების მთავარი პრიზი და აბსოლუტური ფალავნობა მოიპოვა ნინოწმინდელმა ზურა ტოპეშაშვილმა, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლაში პატარა ჩაილურელი დავით ამბარდნიშვილი დაამარცხა. შეჯიბრების დასასრულს ფალავნებს ჯილდოები გადასცეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გიორგი ლოლაძემ,** ორგზის მსოფლიო და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა ჭიდაობა სამბოში **შშანგი კუზანაშვილმა,** საგარეჯოს სპორტული გაერთიანების დირექტორმა **გიორგი მაისურაძემ.**

ჭიდაობას ასევე ესწრებოდნენ ჩვენი თანამემამულე ორგზის ოლიმპიური და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ლევან თედიაშვილი** და სხვა სპორტსმენები.



ნუ შევუქმნით სიცვლას საფრთხეს!

„ამინდის გამოდარებას ხანძრები დაერთო“

ასე განაცხადეს ჩვენთან საუბარში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ***ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის*** უფროსმა **ზაქარია ოტიაშვილმა** და ამავე სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა **ფრიდონ ბეჟიაშვილმა.** კერძოდ, თუ რა სახის ხანძრებს ჰქონდა ადგილი მუნიციპალიტეტში, რა იყო მათი მიზეზი და მიადგა თუ არა ამით ზარალი მოსახლეობას, ანდა რაიონის სახალხო მეურნეობას, ამას მათთან საუბრიდან შეიტყობთ.

– როგორც მოგეხსენებათ, იანვრის I ნახევრიდან ნალექიანი ამინდები მშრალმა, დარიანმა დღეებმა ჩაანაცვლეს. ერთი სიტყვით, ამდენი უამინდობით შეწუხებულ ჩვენს გლეხკაცობას სამუშაო დრო დაუდგა და მოსახლეობამ მასიურად დაიწყო საზაფხულო ხვნა-თესვისათვის ნიადაგის მომზადება და გასუფთავება,– განაცხადეს მათ.

– როგორც ცნობილია, მიწის გასუფთავებას ისინი ძირითადში ფართობების გადაწვის გზით ახდენდნენ. უმეტესად ეს კეთდება ქარიან ამინდებში, რადგან ქარი კარგად უწყობს ხელს ცეცხლის გავრცელებას. ამის გამო ძლიერი ქარის პირობებში ვერ ახერხებდნენ გამძვინვარებული ცეცხლის სტიქიის დამორჩილებას, ცეცხლმოკიდებული ფართობიდან ხანძარი სხვა ფართობებზეც გადადის და ანადგურებს გზად შემხვედრ ფართობებს – ვენახებს, ნათესებს, შენობა-ნაგებობებს და ა.შ. ამის შემთხვევები ჩვენ არაერთი გვქონია წინა წლებში, მაგრამ ჩვენმა მოსახლეობამ ამისგან სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა და წელსაც ჩვეული გზით აგრძელებენ ამ საქმიანობას, რასაც ხანძრების სტატისტიკაც მოწმობს. იანვრის II ნახევრიდან მუნიციპალიტეტში უკვე აღირიცხა ხანძრის 5 შემთხვევა, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა როგორც მოსახლეობას, ისე ქვეყნის ეკონომიკას. მართალია, ჩვენ შევძელით ამ ხანძრების დროული ლიკვიდაცია, მაგრამ ამაზე ხომ დაიხარჯა გარკვეული თანხები, დაზარალდა მოსახლეობა.

19 იანვარს ჩვენმა სამსახურმა მიიღო შეტყობინება სოფელ ხაშმში არსებულ ვენახებში ხანძრის გაჩენის შესახებ. როცა ჩვენი მეხანძრეები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, ცეცხლი უკვე მოდებული იყო 5 ჰა-ზე მეტ ფართობზე და სხვა ტერიტორიაზეც აპირებდა გადასვლას. საბედნიეროდ, ჩვენ დროულად შევძელით სტიქიის დამორჩილება და დაწვას გადავარჩინეთ ათეულობით სხვა ვენახი.

მომდევნო ხანძარი ამ ხანძრიდან მეორე დღეს, საგარეჯოში, ყოფილი №5 ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტერიტორიაზე გვქონდა, სადაც ცეცხლი ეკიდა ამ ტერიტორიას და ნავთობის ნარჩენებს. ჩანს, აქ ვიღაცამ უმეთვალყუროდ დატოვა ანთებული ცეცხლი, ან მოკიდებული სიგარეტის ნამწვავი გადააგდო, რაც ქარმა ხმელ ბალახში გადაიტანა და ხანძარი წარმოიქმნა.

ანალოგიური შემთხვევა იყო გიორგიწმინდის მიმდებარე ტერიტორიაზე, კახეთის გზატკეცილის გასწვრივ მდებარე ქარსაფარ ზოლთან, სადაც ცეცხლი მოდებული იყო გამხმარ ბალახზე და განადგურებით ემუქრებოდა გზისპირა ნარგავებს.

21 იანვარს ხანძრის ჩაქრობა ახლა მანავში, თოხლიაურსა და მანავის გამყოფი გზატკეცილის აღმოსავლეთით მდებარე ვენახებში მოგვიხდა. იქაც ცეცხლი ხმელ ბალახს ეკიდა და გადაწვა ემუქრებოდა მიმდებარე ვენახებს, მაგრამ ჩვენი სამსახურის მუშაკებმა არ მისცეს ამის საშუალება.

გვინდა ვთხოვოთ ჩვენს მოსახლეობას, უფრო მეტად გაამახვილონ ყურადღება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მიმართ, ცეცხლისადმი თავიანთი დაუდევარი, ზერელე დამოკიდებულებით ნუ შეუქმნიან საფრთხეს ნურც საკუთარ და ნურც სხვის ქონებას და სიცოცხლეს.

ჩაიწერა

გივი დაგახიშვილმა

თუ ვუფიქრდებით ჩვენს სიტყვებს?!

„მამის კურთხევა განამტკიცებს ოჯახს, დედის წყევლა კი ამოძირკვავს“

დამეთანხმებით, თუ რა საშინელი, ავისმომასწავებელი შეგრძნება შეიძლება მოჰყვეს გაკაპასებული დედის შვილისადმი წყევლას. თუნდაც არც მაწყევარ დედასთან გაკავშირებდეს რაიმე და არც წყევლის ადრესატთან. მავანი შემოგვედავება, დედის წყევლას ძალა არა აქვს, მისი „ძუძუები ლოცავენ შვილებსო“. ეს რომ ასე არ არის, უამრავზე უამრავი ადამიანია ასეთი წყევლის შედეგის თვითმხილველი და მოწმე. ერთი გამწარებული დედა ცრემლებით მიყვებოდა რამდენიმე წლის წინ: ჩემი შვილი არსად მუშაობდა, მთელი დღე მანქანის საჭეს იყო ჩაფრენილი და აღმა-დაღმა უდარდელად დაქროდაო. ერთხელაც, მისი უსაქმურობით გამწარებული მის გარეცხილ პერანგებს გარეთ, ეზოში სარეცხის თოკზე ვფენდი. რამ მაფიქრებინა, შენი პატრონი ამ საღამოს მომისვენონ მკვდარი – მეთქი, მივაწყევლე ბოლო პერანგს და სარეცხის თოკზე გადავფინე... საღამოს მეზობელმა გაუბედავად შემომძახა. გულმა რეჩხი მიყო – ვინ ეს და ესე შორიდან მეძახის-მეთქი. ეზოს ჭიშკარი გამოვხსენი და ქუჩაში აქაიქ ჯგუფებად შეგროვილი მთელი ჩემი სოფელი დავინახე. რაღაცნაირად სახეს მარიდებდნენ... ასრულდა ჩემი წყევლა – იმ საღამოს ქმარმა და უფროსმა ვაჟმა დილას ჩემს მიერ მიწყევლილი პერანგის პატრონი მომისვენეს სახლში – გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალს მოსახვევში მანქანის საჭე ვერ დაემორჩილებინა და ხევში გადაჩეხილიყო. მწარეა ჩემთვის ყოველი დღის გათენება-დაღამება. ვედარც მის სურათს ვუსწორებ თვალს და ვედარც მისი არყოფნით გაგიჟებულ ჩემს ქმარ-შვილს, რომლებიც თავს ისევ ჩემი „გადარჩენისათვის“ იმაგრებენ, ჩემი – შვილმკვდარი, ხალხო, შვილის დამაწყევარი დედის გადასარჩენად. დედის, რომელმაც შვილის სიკვდილი ცას შეჰღაღადა... ვერ მითქვამს ვერავისთვის, მხოლოდ თქვენ გეუბნებით, თუმცა, რა აზრი აქვს?! არც გულზე მომეშვება ჩემი უგუნური საქციელი და არც შვილი გამიცოცხლდება, მაგრამ სხვა დედები ხომ გაფრთხილდებიან?! ნუ გავიმეტებთ შვილებს დასაწყევლად, ღმერთმა იცის მხოლოდ, როდის, რა აუსრულდება ადამიანს ავად თუ კარგად.

და, აი, ეს ამბავიც წარსულში მოხდა, მაგრამ არც ეს იქნება ინტერესმოკლებელი წასაკითხად და სათანადო დასკვნების გამოსატანად, ძვირფასო მკითხველო.

„სულისშემძვრელია ამბავი, რომელიც დეკანოზმა ეფიმ ოსტომილენსკიმ გვიამბო: სასწავლებელში სწავლის დროს, მე და ჩემი ძმა ბიძაშვილთან, ლოვასა და პავლესთან ვცხოვრობდით. ბიჭების მამა – ბიძაჩვენი თავის მამასთან (ჩვენს პაპასთან) ერთად ასოთხმოცი კილომეტრით დაშორებულ სოფელში ცხოვრობდა. ჩვენი მშობლები კი სხვა მაზრებში სახლობდნენ. ჩვენი პაპაც, მამაც და ბიძაც სასულიერო პირები იყვნენ და ჩვენც, ბიჭებიც ეკლესიურად ვცხოვრობდით.

ერთ კვირა დღეს პავლემ, სრულიად ჯანმრთელმა და საღსალამათმა, თავი შეუძლოდ იგრძნო – თავი ასტკივდა და სიცხემ აუწია. ცოტა ხანში გონება დაკარგა და ხრიალი ამოუშვა. თან თვალებიდან ჩირქი გადმოსდიოდა, პირიდან – ქაფი. მოვიდნენ სემინარიის ექიმი და ექთნები, მაგრამ რა სჭირდა ბიჭს ვერც ვერაფერი გაარკვიეს და ვერც ვერაფერი უშველეს – რამდენიმე წუთში ის გარდაიცვალა. ყველას ამოუხსნელ ამოცანად დაგვრჩა პავლეს უცნაური სიკვდილი.

ერთი კვირის შემდეგ ჩვენთან პაპაჩვენი ჩამოვიდა, რომელმაც კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი ჩამოგვიტანა – გარდაცვლილიყო ბიძაჩვენი, პავლეს მამა. „წინა კვირას დავასაფლავეთ“,– მწარედ ამოიოხრა პაპამ.

ოთხი თვის შემდეგ სემინარიის არდადეგები დაიწყო და მე და ჩემი ძმა, ჩვეულებრივ, სახლში გავემგზავრეთ. ორი კვირის შემდეგ მამაჩვენმა პაპაჩვენისა და ქვრივი ბიცოლას მოსანახულებლად წაგვიყვანა. პავლეს გარდა იმ ოჯახში კიდევ 7 შვილი იყო, რომელთაგან უფროსი – ევდოკია 16 წლის გახდა.

ჩავედით სოფელში და ისეთი რამ შევიტყვეთ, რაც ამ ცოდვილ დედამიწაზეც კი იშვიათად ხდება: ბიძაჩვენის და მისი შვილის, პავლეს გარდაცვალების შემდეგ მოულოდნელად გარდაცვლილა ოჯახის კიდევ ერთი შვილი – გიორგი. ცოტა ხნის შემდეგ – კი ევდოკია. ის მდინარეზე სარეცხს რეცხავდა თურმე, უცებ ფეხი დაუცურდა, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. უბედურებამ დაისადგურა ოჯახში, სადაც ასე მხიარულად ვატარებდით ბავშვობას. ახლა ყველანი მწარედ ვტიროდით. ყველაზე მეტად თავს იკლავდა ბიცოლა პელაგია. მამაჩვენი, რამდენადაც შეეძლო – ამშვიდებდა.

– არ იწუწუნო, პელაგია. უფალს არ უსაყვედურო. მისი განგებულობა ზოგჯერ ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელია, მაგრამ ყოველთვის ბრძნულად განაგებს ყოველივეს თავისი წმინდა ნებით .

პელაგიას ცრემლი არ აშრებოდა თვალზე. ტირილით და გოდებით პასუხობდა მაზლს:

– განა ჩემს ქმართან და შვილებთან დაშორებას ვტირი?! მართალია, ეს ენით აუწერელი ტანჯვა და სიმწარეა, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ როდისმე იმ ქვეყანაში შევხვდებით ერთმანეთს...

ჩვენ გაოცებული ვუყურებდით ბიცოლას. მან ღრმად ამოიოხრა და განაგრძო:

– განა შეიძლება, მე, ცოდვილმა, ცრემლებით ჩამოვირეცხო ცოდვა? ვიცი, რომ სამართლიანად განვარისხე უფალი და ეს არ მეპატიება! იცი, რა ჩავიდინე?!

ქმარი რომ დავასაფლავეთ და სახლში დავბრუნდი, ჩემს საძინებელ ოთახში ჩავიკეტე, ღვთისმშობლის ხატის წინ დავეცი და შეშლილივით დავიწყე ბუზღუნი, საყვედურები, ღვთის გმობა: „დედაო ღვთისავ, წაიყვანე ჩემი შვილებიც! წაიყვანე... აღარ მჭირდებიან!.. და ხედავ, რა მომივიდა?“

– ღმერთო ჩემო, ეს რა გიქნია, პელაგია? – აღმოხდა მამაჩემს.

– მათთვის ხომ ცუდი არაფერი მიქნია? – გაუბედავად წამოილუღლუღა საწყალმა ქალმა.

– რა თქმა უნდა, მათთვის არაფერი გიქნია ცუდი. ისინი ღმერთის ნებით აღტაცებულნი არიან. ახლა მათ სიბოროტე და სიცრუე ვერაფერს დაუშავებს და ვერ შეაცდენს მათ სულებს, მაგრამ შენთვის როგორია ეს?!

დასასრული მე-8 გვერდზე

ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝᲗ

„ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია“

ტყე ბიოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ტყე უდიდესი ბუნებრივი ქარხანაა ჟანგბადის წარმოების, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სიცოცხლე ბიოსფეროში.

საქართველოს ტერიტორიის 1/3 ტყითაა დაფარული. გარდა ჟანგბადისა, ხე-მცენარეები გამოყოფენ ე.წ. ფიტონციდებს, რომლებიც სპობენ მავნე მიკრობებს და ხელს უწყობენ ჰაერის გასუფთავებას.

გარდა იმისა, რომ ხეები და ბუჩქები ფართოდ გამოიყენება ბაღთმშენებლობაში, ტყე გვაძლევს სათბობსა და სამშენებლო მასალას. რა მასალისგანაც არ უნდა იყოს აგებული შენობა, იატაკის, კარების და ფანჯრების გარეშე იგი წარმოუდგენელია. ხშირად შენობა მთლიანად ხისგან კეთდება და ხის მასალითვე იხურება. ხისგან ამზადებენ მანქანებისა და ხელსაწყოების ნაწილს, ქაღალდს, სპირტს, ფისს, კუპრს, ხოლო ზოგიერთი ხე და ბუჩქი სამკურნალო ნივთიერებასაც შეიცავს. ასეთებია: აკაცია, აკაკი, არყი, ბროწეული, დიდგულა, ევკალიპტი, ვერხვი, ვაზი (კრიკინა), ზეთისხილი, ზღმარტლი, თხილი, კუნელი, იფანი, მოცხარი, კაკალი, ლეღვი, სვია, ჟოლო, ცაცხვი, შინდი, წაბლი, წიფელი, ხურტკმელი, ხეშავი და სხვა. ამით არ ამოიწურება ტყის მნიშვნელობა.

ტყე სიცოცხლის ელექსირია. იგი ატმოსფეროს ამდიდრებს ჟანგბადით. ამ თვალსაზრისით 1 ჰა ტყეს 20 ჰა მდელო ვერ შეცვლის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი შემადგენლობის 1 ჰა ტყე წლის განმავლობაში ასუფთავებს არანაკლებ 18 მილიონ კუბომეტრ ჰაერს და ერთ საათში შთანთქავს იმდენ ნახშირორჟანგს, რამდენსაც ამავე დროის მანძილზე ამოისუნთქავს 200 კაცი. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოთლოვანები შთანთქავენ მეტ ნახშირორჟანგს, ვიდრე წიწვიანები.

ტყის ჰაერი მდიდარია ოზონით. ოზონი დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანის ნერვიულ სისტემაზე, აუმჯობესებს მის თვითგანწყობილებას.

ტყის უდიდესი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს დაშრობისაგან მდინარეებს, წყაროებს, მინერალურ წყლებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია საქართველო. საქმე ისაა, რომ ტყის ნიადაგი ღრუბელივით ისრუტავს თოვლისა და წვიმის წყალს, სიღრმეში ჩააქვს იგი და თანდათანობით აწვდის მდინარეებს და წყაროებს. გაჩეხილი ტყის დია ადგილებში თოვლი სწრაფად დნება, ნიადაგი ისრუტავს თოვლისა და წვიმის წყლის მხოლოდ მცირე ნაწილს, უდიდესი ნაწილი კი მთლიანად სწრაფად ჩამოდის ღელეებში, შემდეგ უერთდება მდინარეებს, რომლებიც გამოდიან ნაპირებიდან და თან მიაქვთ ფესვიანი ხეები, საკვები ნივთიერებებით მდიდარი ნიადაგის ზედა ფენები, ზოგჯერ იტაცებენ ნათესებს და ნარგავებსაც. ასე ჩნდება წყალდიდობა, რომელსაც მოსდევს მეწყერებისა და რიყეების გაჩენა. ვინ მოსთვლის რამდენი ვენახი, ბაღი და ნათესი წაუღია მეწყერს, რამდენი ხიდი და გზა გაუფუჭებია. ამის მაგალითები ჩვენს რაიონშიც ბევრია.

მდინარეთა წყლის თანაბარ დონეს კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროსადგურების ნორმალური მუშაობისათვის, სარწყავი წყლის დროული და საკმარისი რაოდენობით გამოყენებისათვის. ტყის მნიშვნელობა წყლის მოწესრიგების საქმეში ძალიან დიდია.

ტყე იცავს აგრეთვე მოსავალს ქარის მავნე გავლენისაგან. ქარი, გარდა იმისა, რომ ხშირად აყრევინებს ხეხილს ფოთლებს, ყვავილსა და ნაყოფს, ხელს უწყობს გვალვის გამანადგურებელ გავლენას. ქარში მცენარე უფრო მეტ წყალს აორთქლებს. ქარი აშრობს ნიადაგს და ზოგჯერ იმდენად ძლიერად, რომ მინდვრის კულტურების მოსავალი მთლიანად იღუპება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ტყეს, ამ დიდ საუნჯეს ბევრი მტერ-მოყვარე ჰყავს, გვახსოვდეს, რომ ადამიანს თავისი არაწესიერი საქმიანობით შეუძლია ზიანი მიაყენოს ტყეს და პირიქით – წესიერი მოქმედებით სარგებლობა მოუტანოს მას. ტყე რასაკვირველია, უნდა მოიჭრას და გამოყენებულ იქნას საშენ მასალად და საწვავად. ტყე ცოცხალი ორგანიზმია და მოუჭრელ-მოუვლელად იგი ისე დაბერდება და გადაშენდება, როგორც ვაზი გაუსხლავად. ენერგეტიკული კრიზისისა და სიდუხჭირის წლებში ვინ დაუშლის გლეხკაცს წელიწადში 5-10მ3 შეშის მოჭრას ოჯახის საჭიროებისათვის. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტყის შემდგომი არსებობა მის გონივრულ გამოყენებაზეა დამყარებული. დაცული უნდა იყოს ტყეთსარგებლობის მეცნიერულად დადგენილი წესები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ტყის ბუნებრივი განახლება და მისი აღდგენადი რესურსების უწყვეტი სარგებლობა. ტყის რესურსებით წესიერი, გეგმაზომიერი გამოყენება არის ბუნების დაცვის აქტიური ფორმა. ასე, რომ გავუფრთხილდეთ მწვანე ნარგავებს, გავუფრთხილდეთ ერის საუნჯეს – ტყეს.

ანზორ ჩაფიძე,

დამსახურებული მეტყევე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

თუ ვუფიქრდებით ჩვენს სიტყვებს?!

„მამის კურთხევა განამტკიცებს ოჯახს, დედის წყევლა კი ამოძირკვავს“

დასასრული

– აი, ამაზე ვტირი და მოვთქვამ და ვქვითინებ.

„მამის კურთხევა განამტკიცებს ოჯახს, შვილებს, დედის წყევლა კი ძირფესვიანად ამოძირკვავს ოჯახს“, – ამბობს ბრძენი. აი, რა არის დედის წყევლა! არის შემთხვევები, როდესაც წყევლის სიტყვები ზედმიწევნით სრულდება. ამიტომ დედის პირიდან შვილისათვის მხოლოდ სასიკეთო უნდა ამოდიოდეს. ლოცვა არ უნდა შეწყვიტოთ, თუნდაც უფალმა გვიან ისმინოს თქვენი. ცუდი შვილები შეიძლება უფლისაგან დასასჯელად მოგვეცა. ასეთ შემთხვევაში კი არ უნდა ვწყევლოთ ისინი, არამედ უნდა გავაძლიეროთ ლოცვები მათთვის; ისინი უფალს და ღვთისმშობელს შევავედროთ, რომ ჭკუაზე მოიყვანოს ისინი.

ისიც გახსოვდეთ, რომ თუ თქვენი შვილი რამეს ისე არ აკეთებს, ამაში ისევ თქვენ ტყუიხართ, რადგან თავის დროზე არ ჩაუნერგეთ ღმერთის რწმენა და სიყვარული, მოწიწება ღვთის ტაძრისადმი და სხვა ქრისტიანული სათნოებისა და ზნეობისადმი. მშობლები სასოწარკვეთას არასოდეს უნდა მიეცეთ, გული არ უნდა გაიტეხოთ. არ არის არც ერთი წმიდანი, რომელსაც მთელი ცხოვრება მწუხარების გარეშე გაეტარებინოს; ყველა ადამიანი ცხოვრებაში აუცილებლად იტანდა მწუხარებას.

ღმერთის სასუფევლისაკენ მხოლოდ ერთი გზაა – გზა მწუხარებისა. ჩვენი ცხოვრება მწუხარების გარეშე შეუძლებელია, რადგან ვიბადებით ცოდვებში და ვცხოვრობთ ცოდვიანებად. გასაგებია – გიჭირს, ქალიშვილმა ან ვაჟმა გაწყენინა, აუტანლად მძიმეა ეს. მას არანაირი სიმძიმე არ შეედრება. მაშინვე შენს ზეციურ მამას მიმართე, უთხარი: „მიმძიმს, უფალო!“ და იცოდე, არასოდეს ღმერთამდის ისე არ მიდის ჩვენი ლოცვა, როგორც მაშინ, როდესაც გული უაღრესად დამწუხრებულია. ეძებე შველა მხოლოდ ღმერთში, ეძებე იქ, სადაც იგი განსაკუთრებით ავლენს თავის მადლს – წმიდა ტაძარში, ეძებე მის წმინდა საიდუმლოებებში, ეძებე ის წმინდა წერილში; ეძებე და ყველაფერს იპოვი მასში, იპოვი სიმშვიდეს და მის მოწყალებას შენთვის და შენი შვილებისათვის. როცა ასეთნაირად გადაიტან მწუხარებას, დაუყოვნებლივ მოვა ნუგეში.

მძიმე და მტანჯველია შვილების გამო მწუხარება, მანამ, სანამ არ მიხვდები და არ იტყვი: „იყავნ ნება შენი უფალო, ეს ხომ ჩემი ცოდვების გამოა და მათგან განსაწმენდელად მოთმინებით მოვიცდი, სანამ სადარდელი გაივლის“, – დარწმუნებული იყავი, რომ განსაცდელი მალე გაივლის და გული ისე შემსუბუქდება, ისე გაიხარებს, რომ თვალებზე სიხარულის ცრემლი მოგადგება. ღმერთი იმიტომაც უშვებს ჩვენზე განსაცდელს, რომ უფრო მალე მივმართოთ მას, რომ უფრო მალე გაგვახსენდეს ის. „განსაკუთრებით მიმძიმს“, – ამბობ შენ, – „ისიც არ შემიძლია, ღმერთს მივმართო, პირჯვარის გადასახვაც კი არ შემიძლია, რომ ღმერთს ვუთხრა, რაც მიმძიმს. არ შემიძლია, არ მაქვს სურვილი“. ჰო, მაგრამ მოდი და სწორედ ეს უთხარი ღმერთს, სწორედ ასე, ამ სიტყვებით, როგორც შეგიძლია, ისე გაანდე შენი წუხილის მიზეზი. და უთუოდ დაინახავ, სიტყვა დამთავრებული არ გექნება, რომ შვებას იგრძნობ, რასაც ღმერთს შესჩივლებ, აუცილებლად მოგეშვება გულზე.

„კანდელი“

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲑᲘᲝᲠᲒᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐᲨᲘ

ჯვარს მირონი სდის

ვირას წირვაზე ეკლესიაში მისულს ჩემმა მოძღვარმა მღვდელმა გიორგი პავლოვმა შეკითხვა შემომაგება – რატომ არ მიდიხარ ქვრივიშვილების ოჯახში, ჯვარს მირონი სდის, არ გაინტერესებსო?..

რატომდაც ჯვრის პატრონი მე თავად „გიორგით“ მოვნათლე და ძებნა დავიწყე. გიორგი არა, მაგრამ ვანიკო აღმოჩნდა – 6 წლის გიორგისა და 5 წლის მერაბის მამა. ოჯახში მისულს დედამ – ქალბატონმა ნუნუმ და ვანიკოს მეუღლემ – სოფომ გამიწიეს მეგზურობა და დიდ, ფართო, ნათელ ოთახში მოწყობილ სალოცავ კუთხესთან მიმიყვანეს. აქ მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმინდა მამების ხატებთან კედელზე განთავსებული ჯვრიდან (სურათზე), რომელიც ბზის მასალისგანაა დამზადებული, მირონი დის. ამის მოწმე თავადაც გავხდი, როცა ჩემს თვალწინ ჯვრიდან კიდევ ერთი წვეთი შეემატა ჭიქაში მოგროვილ მირონს – გამჭვირვალე, ოდნავ შესქელებულ, რაღაცნაირი ნათლით გაკაშკაშებულ სითხეს. ჯვარი ბზის ხისგან დამზადებული მძივის რგოლზეა და სწორედ ამ ჯვრიდან მოდის მირონი. მირონი, რომლის შემადგენლობას საუკუნეებია იკვლევს მეცნიერება, მაგრამ ვერ ხსნიან შემადგენელ ნივთიერებებს. რატომ? ეს ღვთის საიდუმლოა, ჩვეულებრივი მოკვდავების გონება ამ საიდუმლოს „გაშიფრვას“ ვერ წვდება.

მაგრამ, კითხვა, რატომ მაინცდამაინც ვანიკოს ჯვარს სდის მირონი, და არა ისეთი ადამიანის ჯვარს, რომელიც მეტად ბევრ დროს ეკლესიაში ატარებს, ლოცულობს, ამბობს აღსარებას, ეზიარება, – ვგონებ ბევრს გაუჩნდება.

გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოძღვარი მღვდელი გიორგი (პავლოვი): – ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ჯვრიდან მირონდენა ღვთის დიდი მადლია, მაგრამ ჯვრის პატრონისათვის დიდი განსაცდელის მაუწყებელი, რომელიც ჯვრის პატრონმა უნდა დაითმინოს, იცხოვროს მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრებით. მერე ვნახოთ...

თუმცა, როცა ვანიკოს მიერ განვლილ ცხოვრებას (ვანიკო სულ 34 წლისაა) გავეცანი, იმხელა განსაცდელები გამოუვლია, კიდეც გამიკვირდა, რაღა განსაცდელი უნდა გამოიაროს?!

...დაიბადა 1978 წელს. გიორგიწმინდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიარა სამხედრო-სავალდებულო სამსახური. სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლის გადასახადის გამო მუშაობა დაიწყო სპეცდანიშნულების ბატალიონში. თუმცა მშვიდად, აუღელვებლად, თანმიმდევრობით მიყვება ვანიკო თავის მიერ განვლილ საბრძოლო თავგადასავლებს, მაგრამ მსმენელს გაუკვირდება, როდის მოასწრო ამდენ სამშვიდობო მისიასა თუ ბრძოლებში მონაწილეობა.?! გიორგიწმინდელი ახალგაზრდა „კომანდოს“ ბატალიონის მებრძოლია, რომელიც სხვადასხვა დროს იყო ოპერაცია „კახეთი-2002“-ის მონაწილე პანკისის ხეობაში. იყო 2004 წელს ცხინვალში სასწავლო-საბრძოლო მეცადინეობისას. იყო „კოდორის ხეობაში“სამშვიდობო მისიით 2008 წლის მაისში. მწარედ ახსენდება აჩაბეთის საშულო სკოლის შენობაში ალყაშემორტყმულ თანამებრძოლებთან გატარებული ჯოჯოხეთი.

სხვადასხვა დროს გაიარა სამშვიდობო, საბრძოლო, სამედიცინო, სამხედრო სწავლება, გავლილი აქვს საპარაშუტო კურსი, ორწლიანი პროგრამისტისა და უცხო ენის კურსები – სამხედრო ხაზით.

2008 წელს საქართველოს სამხედრო პოლიციის სპეცდანიშნულების ბატალიონში მოდვაწეობისას 2008 წლის აგვისტოში საბრძოლო მისიით იმყოფებოდა ცხინვალში. საკუთარი თვალით ნახა ენით აუწერელი მდგომარეობა, ბატალიონის ბიჭებთან ერთად გარკვეული დროით მოუწია საბრძოლო მზადყოფნა – გადამწყვეტი იერიშისათვის, მაგრამ მთავარსარდლის ბრძანებამ ბატალიონი თავის ადგილას დააბრუნა.

აგვისტოს ომმა მძიმედ გადაიარა ვანიკოსთვის. ომის დაწყების წინ ცოლშვილი გორში – ცოლოურებში იყვნენ. სწორედ იმ დაბომბვის დროს გამოიყვანა ვანიკოს მამამ რძალი და შვილიშვილები, თუმცა, შემდეგ გიორგიწმინდაში გორიდან ლტოლვილები თვეების განმავლობაში ცხოვრობდნენ მათთან.

აგვისტოს ომიდან დაბრუნებულ ვანიკოს ოჯახს გადასახადის გადაუხდელობის გამო შეუწყვიტეს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდება.

ვანიკომ 9 წელიწადი იმსახურა საკონტრაქტო ჯარში. იხსენებს აუღელვებლად, კახური სიდინჯით ამ 9 წელიწადს, ვუსმენ და ვფიქრობ, ეს 9 წელი ვისთვის დალხინებულია, ვისთვის კი სიცოცხლის სამსხვერპლოზე დადებული. სხვანაირად არ შეეძლო, იზრდებოდა ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებულ ოჯახში, სადაც ვაჟკაცობა, ადამიანობა, სამშობლოს სიყვარულია ლიბოდ დადებული...

შემდეგ ისევ ვაჟკაცურ სამუშაო უბანზეა... ე.წ. „ალინჯის“ ტერიტორიის ნაღმებისგან გაწმენდის ოპერაციაში. გაიარა გამნაღმველ-მედიკოსის კურსები... არ უფიქრია სხვა სამსახურზე, იოლი გზით ხელფასის მოპოვებაზე. იყო და არის იქ, სადაც ყველაზე საშიშია ყოფნა, მაგრამ სამაგიეროდ, ვაჟკაცობის, გამბედაობის, უშიშარობის გამოცდით...

გაზაფხულიდან ჩაერთო კოალიცია „ქართული ოცნებია – დემოკრატიული საქართველოს“ მოძრაობაში. თბილისიდან პირდაპირ საგარეჯოში, მშობლიურ რაიონში გადმოამისამართეს – აქ იყო საჭირო და არც შეურცხვენია თავი. ბრძოლაში გამობრძმედილი, ჭკვიანი, გაწონასწორებული, დისციპლინირებული ხასიათის მქონე პიროვნებას მთელი სოფელი ამოუდგა მხარში, შემდეგ რაიონშიც გაიცნეს და თავისი მისია აქაც ვაჟკაცურად შეასრულა.

13 იანვარს ვანიკოს მიერ მოხსნილ ჯვარს, რომელიც აბაზანის წინ, სარკეზე ჩამოკიდა აბაზანაში შესვლის წინ, პირველი სისველე დამ – ქეთომ შენიშნა. მას სურნელი კეთილი ჰქონდა. მალე ქეთიც მიხვდა და სოფოც, რომ აქ რადაც სასწაულს ჰქონდა ადგილი და ვანიკოსთან ერთად მოძღვარს მიმართეს – მამა გიორგიმ ნახვის შემდეგ დაადასტურა – ეს იყო მირონდენა და შესაბამისი რჩევა-დარიგებაც მისცათ.

საოცარია, მაგრამ ვანიკოს ჯვრიდან მირონდენა და გიორგიწმინდაში ანგელოზების გამოჩენის დღე ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომაც რაღაცნაირად შემკრთალი და დაძაბული მზერით მესაუბრება ვანიკო ამ ფაქტზე.

საუბარში ახსენდება – ბიძაშვილმა მარხვის დღეს, თურმე „საღვთო სუფრა“ გააკეთა და ამის შემდეგ, ერთსადაიმავე დღეს, ქვრივიშვილების სამ ოჯახში – ერთერთი ვანიკოს 1,5 წლის შვილმაც, „საღვთო სუფრის“ ავტორმაც და მოხუცმა, ხანშიშესულმა ქვრივიშვილმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სხეულის საკმაოდ მძიმე დამწვრობა მიიღეს. ვანიკო კი მიხვდა ბიძაშვილის შეცდომას. ახსენდება 2008 წლის აგვისტოში, ყაზარმული ცხოვრებით მცხოვრებ ბატალიონის ბიჭებთან მამაო მიდიოდა. ყოველ მისვლაზე სთხოვდათ, გარშემო ბევრი ბზის ხეებია, ხელი არ ახლოთ, თუ მოჭრით, მისგან მხოლოდ ჯვრები და ჯვრის მოსართავი მძივები გააკეთეთო. ბიჭებს ბზის მოჭრის სურვილი გაუქრათ. მხოლოდ ვანიკო ვერ ისვენებდა – ერთხელ თავისი თანამებრძოლი აიყოლია და მთამსვლელივით შეუდგა ციცაბო კლდეზე ასვლას. მიუახლოვდა ბზის ხეებს კლდის თავზე, იფიქრა, ბზის ტანს მოვეჭიდები და ისე ავძვრები კლდის თავზეო, მაგრამ დაინახა, ბზის ხე რატომღაც ირხეოდა... გულგახეთქილი ჩამოხოხდა კლდიდან – ლეგენდად თუ თქმულებად ქცეული გაახსენდა – გველი იცავს წმინდა ხესო... იმ დღეს თავად ვანიკოც გადაარჩინა ქვეწარმავალმა – წმინდა ხედ აღიარებული ხის მღვდლისაგან კურთხევის აუღებლად მოჭრისაგან და ღვთის სასწაულებიც იწამა ბიჭმა...

ჯვარი კი ვანიკოს და პატარა მერაბის გორიჯვრის ეკლესიის გახსნისას (გორის რაიონში) ვანიკოს სიდედრმა საჩუქრად უყიდათ.

თინა ილაური

გახსენება

გიორგი ზაქარიას ძე გრატიაშვილი

31 მაისს 9 წელი ხდება, რაც ჩვენთან აღარა ხარ, გიორგი. შენზე მოგონებებით ჩვენთვის ყოველი დღე სევდიანია. შენი წასვლით გაუნელებელი ტკივილი, უსაზღვრო მწუხარება მოგვაყენე და სამუდამოდ დაგვწყვიტე გულები.

9 თებერვალს შენი დაბადების დღეა. 9 წელია უშენოდ ვხვდებით ამ დღეს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენთან კი შენი გახსენების ტკივილი და ცრემლიანი დარდი არ ქრება.

ისდა დაგვრჩენია შენს საფლავთან ავანთოთ სანთელი და ვილოცოთ შენი კეთილი და სპეტაკი სულისათვის.

ღმერთმა დაუმკვიდროს შენს სულს სასუფეველი, ჩვენო ბიჭო!

ლალი დეიდა და შენი ოჯახი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com